# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 23 თებერვალი, 2013 წელი.

№35 (7162)



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.

## დაგვეხსენი, დასავლეთო, რა გვაქვს შენთან საზიარო!



3-4

საით მიჰყავთ საქართველო?..

## აშენდება ბათუმში მეჩეთი?



2

## სააკაშვილის ყოველმხრივი შეტევა არა ივანიშვილსა და „ოცნებაზე“, არამედ სრულიად საქართველოზე

9

## რამდენიმე „შინაურული საკითხი“, დროულად მისახედი და მოსაწესრიგებელი

5

## საქართველოს პრეზიდენტმა პუტინის საფრთხე გაიხსენა

8

## ჩვენი მიმართულება პროქართული უნდა იყოს

2

## ლანჩხუთელმა ჩინოვნიკებმა სტადიონის ფული შეჭამეს



10



## ჟურნალისტის ბედი საქართველოში

6

## ყველაზე უფროსი გვანცა

7



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ალიან-ჩალიანი

## აშშ-ის მიერ საქართველოსთვის დახმარების შემცირების მიზეზი მისი საბიუჯეტო პრობლემებია

**საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძის განცხადებით, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ საქართველოსთვის დახმარების შემცირების მიზეზი მათი საბიუჯეტო პრობლემებია. როგორც ფანჯიკიძემ ჟურნალისტებს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადების კომენტირებისას განუცხადა, ეს ინფორმაცია არის ერთი წლისწინანდელი და შარშან აპრილში გამოქვეყნდა.**

**— ამაში ახალი არაფერი არ არის. რატომ შეამჩნია ეს მედიამ მხოლოდ ახლა, ვერ გეტყვით. ეს არის ძველი პროექტი. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი სამი წლის პროექტს აქვეყნებს და ამ სამი წლის გეგმაში იყო შემცირება, — განმარტა მაია ფანჯიკიძემ.**

**მისი თქმით, მიუხედავად ამისა, საქართველო მაინც ყველაზე დიდი დახმარების მიმღები ქვეყანაა.**

**ფანჯიკიძის განმარტებით, აშშ-მ საერთოდ შეამცირა გარკვეულ სფეროებში დაფინანსება საკუთარი ბიუჯეტის პრობლემების გამო და ეს ინფორმაცია საქართველოსთვის ცნობილი ერთი წლის წინათ იყო.**

**გავრცელებული ინფორმაციით, ვაშინგტონი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს დახმარებას 24 პროცენტით უმცირებს. ბიუჯეტის პროექტის შესაბამისად, საქართველო ინარჩუნებს იმ ქვეყნის სტატუსს, რომელიც რეგიონში ყველაზე დიდ დახმარებას მიიღებს, თუმცა, დახმარების მოცულობა 85-დან 68.7 მლნ დოლარამდე შემცირდება.**

## დასუფთავების გადასახადზე, შესაძლოა, მერიასა და პარლამენტს შორის კონსულტაციები გაიმართოს

**დედაქალაქის მერია მზად არის, კომუნალური გადასახადების მიმართულებით პარლამენტს საკუთარი გამოცდილება გაუზიაროს და შესაძლოა, აღნიშნულ საკითხზე შაბათ-კვირას კონსულტაციებიც შედგეს.**

**დეპუტატ თინა ხიდაშელის მიერ მომზადებული პროექტით, ნარჩენების გადასახადის ოდენობა მოხმარებული ელექტროენერგიის მიხედვით აღარ განისაზღვრება, დაგვა-დასუფთავების მომსახურებაზე ზღვრული მოსაკრებელი წესდება, რომლის ოდენობაც ერთ სულ მოსახლეზე თვეში სამ ლარს, ხოლო იურიდიული პირების შემთხვევაში, ერთ კუბურ მეტრ ნარჩენებზე 25 ლარს არ უნდა აღემატებოდეს. ამასთან, ამ მიმართულებით სულადობრივი ზღვარიც შემოდის და კანონში იწერება, რომ ოჯახის წევრთა რაოდენობის მიუხედავად, სულადობის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა ოთხი სულით განისაზღვრება.**

**პროექტის თანახმად, „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ კანონით სოციალურად დაუცველთა ფაქტორის გათვალისწინებაც ხდება და კანონში ფიქსირდება, რომ მოსაკრებლის ოდენობა ფიზიკურ პირებზე დიფერენცირებული უნდა იყოს, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის კანონმდებლობით დადგენილი სიღატაკის ზღვრის მაჩვენებლის შესაბამისად.**

**საკითხის წარდგენისას ხიდაშელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კანონპროექტი მხოლოდ დასუფთავების გადასახადის გამოანგარიშების წესს ადგენს, მაგრამ არანაირად არ ეხება აღნიშნული გადასახადის ადმინისტრირებას.**



**მისი თქმით, ის, თუ როგორც მოხდება გადასახადის ამოღება, ამას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო დაადგენს და დაარეგულირებს.**

**— შეიძლება დარჩეს წესი და პირი, რომელიც დასუფთავების გადასახადს არ გადაიხდის, ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდეს, — აღნიშნა ხიდაშელმა.**

**ინტერპრესი**

აშენდება ბათუმში მეჩეთი?

## საზოგადოების ერთი ნაწილი რეფერენდუმის ჩატარებას მოითხოვს



**მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი, წმ. მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის მართლმადიდებელი მრევლის კავშირი, წმ. დავით და კონსტანტინეს სახელობის კავშირი (თერჯოლა), წმ. გიორგის სახელობის კავშირი (ჭიათურა), წმ. მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის კავშირი; წმ. იოანე ოქროპირის სახელობის კავშირი; წმ. ქეთევან წამებულის სახელობის კავშირი, სტუდენტური კავშირების ალიანსი „ძალა ერთობაშია“,**

„ზნეობრივი არჩევანი“, ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი; „განათლება და ერთსულოვნება“ — სამედიცინო უნივერსიტეტი, „მომავალი ჩვენია“ — ილიას უნივერსიტეტი, „ქართული საქმე“ — გურამ თავართქილაძის უნივერსიტეტი, მოსწავლეთა კავშირი: „ნათელი მომავლისათვის“. მოძრაობა „ზნეობრივი საქართველოსთვის“ მოითხოვენ ჩატარდეს რეფერენდუმი მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებით.

„საზოგადოების შეშფოთება გამოიწვია თურქეთისა და საქართველოს პრემიერების შეთანხმებამ ბათუმში მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებით, — ჩაწერილია განცხადებაში, — ახალი ხელისუფლება აგრძელებს ყოფილი ხელისუფლების თვითნებობის კურსს, ეკლესიასთან და ხალხთან შეუთანხმებლად მიიღოს გადაწყვეტილება საკულტო ნაგებობის მშენებლობის თაობაზე. თურქეთის მხარის დაჟინებულ მცდელობას, ააშენოს ბათუმში მეჩეთი, აქვს შორს მიმავალი რელიგიური და პოლიტიკური მიზნები: აჭარისა და სხვა მხარეების რელიგიური ექსპანსია, საქართველოს ისლამიზაცია, აჭარაზე თავისი გავლენის გაძლიერება და გაფართოება და მომავალში მისი თურქეთთან მიერთება. ყველა ეს მიზანი მიუღებელია საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის.

მოვითხოვთ, ჩატარდეს რეფერენდუმი მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებით, მსგავსად იმისა, როგორც ეს მოხდა 2009 წლის 29 ნოემბერს შვეიცარიაში, როდესაც შვეიცარიის მოსახლეობამ უარი უთხრა ქვეყნის მუსლიმანურ თემებს, რომელთაც ქვეყანაში სულ 4 მინარეთი აქვთ, კიდევ ორი მინარეთის მშენებლობაზე. ქვეყნის 26 კანტონიდან მინარეთების მშენებლობის კონსტიტუციურ აკრძალვას 22-მა დაუჭირა მხარი. შვეიცარიის პოლიციისა და იუსტიციის მინისტრის ეველინე ბიდმერ-შლუმპფის სიტყვებით, კენჭისყრის შედეგები ასახავენ ქვეყნის მოქალაქეების შიშს ისლამიზაციის საფრთხესთან დაკავშირებით. ეს საფრთხე, რომელიც ახალი ტერიტორიებისა და მხარეების დაკარგვასა და ქვეყნის დაქუცმაცებსაც მოიცავს, საქართველოსთვის კიდევ უფრო რეალური და საშიშია.“

„უნდა აშენდეს თუ არა მეჩეთი ბათუმში“ — ამ საკითხზე პლებისციტის ჩატარების ინიციატივით გამოვიდა ბათუმში ახალდაფუძნებული პარტია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“. იდეას აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრებიც ემხრობიან. ამ თემაზე ბათუმში შეხვედრას ახალშექმნილი პარტიის ხელმძღვანელი დავით თარხან-მოურავი უძღვებოდა. ასევე შეხვედრაზე იმყოფებოდა მედია-კავშირ „ობიექტივის“ დამფუძნებელი ირმა ინაშვილი. „შევთანხმდით იმაზე, რომ ჩატარდება რეფერენდუმის თუ პლებისციტის ტიპის გამოკითხვა, რომელიც ნოტარიულად იქნება დამტკიცებული, რომ არავის ეჭვი არ შეეპაროს ამ ნების გამოხატულების სამართლებრივ ასპექტებში. საჭირო არის ძალიან დიდი აქტივობა“, — განუცხადა „ბათუმელებს“ ირმა ინაშვილმა შეხვედრის დასრულების შემდგომ. ინაშვილის განცხადებით, პლებისციტის საინფორმაციო მხარდამჭერი იქნება მედია-კავშირი „ობიექტივი“, „25-ე არხი“ და გაზეთი „აჭარა პს“.

შეხვედრას ესწრებოდა აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ალეკო ჩიტიშვილი. მისი განცხადებით, გუნდში, რომელიც პლებისციტს ითხოვს, შედიან ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრები, მათ შორის, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ავთანდილ ბერიძე და პარლამენტის ვიცე-სპიკერი მურმან დუმბაძე.

„ჩვენ წინააღმდეგი ვერ ვიქნებით, არ გვაქვს უფლება ვიყოთ წინააღმდეგი, ან ვიყოთ თანახმა, რადგან ეს იწვევს მღელვარებას ხალხში და არ გვინდა, რომ მოხდეს დაპირისპირება ქართველ ადამიანებს შორის, მუსლიმი იქნება თუ ქრისტიანი, ამიტომ ვითხოვთ, რომ პლებისციტი ჩატარდეს ქალაქში და ვნახოთ, მოსახლეობის რა ნაწილს სურს მეჩეთის მშენებლობა“, — განაცხადა ალეკო ჩიტიშვილმა „ბათუმელებთან“ საუბარში.

კავკასიის საკითხებში ექსპერტი მამუკა არეშიძე მიიჩნევს, რომ ოშკისა და იშხნის ტაძრების აღდგენის ხელშეკრულებაში ნაცვალგებას ადგილი არ აქვს:

„ადგილმონაცვლეობის შთაბეჭდილება ეს რეალურია, მაგრამ მხოლოდ შთაბეჭდილებაა. საქმე ისაა, რომ თურქეთი ქართულ ძეგლებს საერთაშორისო ფორმატით აღადგენს, მათ შორის იუნესკოსი. ეს ორგანიზაციები ითხოვდნენ და თურქეთს ვალდებულება ჰქონდა, თუმცა, დიდი ხნის განმავლობაში არ ასრულებდა. ბოლო შეხვედრებზე ითქვა, რომ ტაძრების აღდგენაში ქართველი სპეციალისტები ჩაერთვებიან. რაც შეეხება საქართველოს ტერიტორიაზე ასაშენებელ მეჩეთს, მას საქართველოს მუსულმანური თემი საკუთარი სახსრებით და ქართველი არქიტექტორების მეშვეობით ააშენებს. აზიზიეს თემა ამ შეხვედრებზე მოიხსნა და ისიც, რომ ამაში თურქეთი მიიღებს მონაწილეობას. ადგილმონაცვლეობის შთაბეჭდილება მართლა იქმნება, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ მაქსიმალურად გააკეთა ყველაფერი, რომ ეს თემები გამიჯნული ყოფილიყო“, — დასძინა არეშიძემ.

კავკასიის საკითხებში ექსპერტის განმარტებით, თურქეთთან ადრინდელი ხელშეკრულების პროექტში სხვა მოცემულობა იყო. საქართველოს მხარე თურქეთის ტერიტორიაზე აღადგენდა ტაძრებს, თურქული მხარე კი ახალციხესა და ბათუმში ორ მეჩეთს ააშენებდა. არეშიძე ასევე აცხადებს, რომ ეს სიტუაცია არ შეიქმნებოდა, წინა ხელისუფლების მიერ ეს პროცესი რომ არ დაწყებულიყო.

„ეს პროცესი დაწყებულია და ამას ასე მარტივად ვერ შეცვლი, რომ ერთი ხელის მოსმით დაამთავრო. იმიტომ, რომ საქმე გაქვს ძალიან სერიოზულ მოწინააღმდეგესთან. ამიტომ, ძალიან ფრთხილად უნდა ამას ყველაფერს მიდგომა. მთავრობამ ვერ შეძლო ეს პროცესი მაქსიმალურად შემოეტრიალებინა“, — დასძინა არეშიძემ „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში.

**ნატა ნიბლაძე**

დევნილის გულისტკივილი

## პეტრე ნაჭყებია: ჩვენი მიმართულება პროქართული უნდა იყოს

**საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ცვლილებები თითქმის ყველაფერს შეეხო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტრუქტურებს გარდა. მაინც, თუ რა სახით უნდა იფუნქციონეროს ამ სტრუქტურებმა?, ამ და სხვა საკითხებზე თავის მოსაზრებებს გვიზიარებს სოხუმის მკვიდრი, ამჟამად ბათუმში მცხოვრები, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი აქტივისტი 1992-93 წ.წ. ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტის წევრი პეტრე ნაჭყებია.**

„ჩვენი მთავარი სატკივარი აფხაზეთია. ეროვნული ხეილისუფლების დროს არჩეული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები რატომღაც დღემდე მოღვაწეობენ. მათი დიდი უმრავლესობა ერთგულებას ეფიცებოდა ეროვნულ ხელისუფლებას, მაგრამ მოხდა თუ არა სახელმწიფო გადატრიალება, ერთი-ორი დეპუტატის გარდა, ისინი შევარდნაძის ნავში „გადასკუპდნენ“. შემდეგ სააკაშვილის რეჟიმს შეეკრნენ. და დღემდე მათთვის სულერთია რა კურსის და მიმართულების მთავრობა იქნება ცენტრალურ ხელისუფლებაში... მთავარია მათ კეთილდღეობას საფრთხე არ დაემუქროს. ამ ბატონებმა ხმა არ ამოიღეს, როდესაც ე.წ. სახელმწიფო საბჭომ ძმათა ომი გააჩაღეს, მეტიც ზოგიერთი მათგანი ამისკენ მოუწოდებდა პუტჩისტებს.“

**— ბატონო პეტრე, როგორ ფიქრობთ, რა ფორმით უნდა იფუნქციონეროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო თუ სამთავრობო სტრუქტურებმა?**

— საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ გაჩნდა იმედი კონფლიქტის გაყინული მდგომარეობის დათბობისა, მაგრამ თუკი ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა ე.წ. მუდმივად ლეგიტიმური აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს მიმართ დევნილი მოსახლეობის უმრავლესობის უარყოფითი დამოკიდებულება, არაფერი არ გამოვა. დღემდე აფხაზეთის ე.წ. ლეგიტიმურ უმაღლეს საბჭოსა და მთავრობას ყველა ხელისუფლება და მათი კურსი აწყობდა, მაგრამ ვერაფერს ვიტყვი ახალ ხელისუფლებასთან რამდენად მიაღწევენ „კოჰაბიტაციას“. დიდი ალბათობით მოახერხებენ — ქვეყნის საზიანოდ!..

აუცილებლად უნდა მოხდეს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის გადარჩევა, თუ მაინცდამაინც მათი არსებობა სავალდებულოა, თუ არა და, საერთოდ უნდა გაუქმდეს ეს სტრუქტურები და შეიქმნას აფხაზეთის დევნილთა წარმომადგენლობა, რომელიც დაკომპლექტდება აფხაზეთის ღირსეული პიროვნებებისაგან.

**— ბატონო პეტრე, აფხაზეთის რკინიგზის გახსნასთან დაკავშირებით რა აზრის ბრძანდებით ?**

— მივესალმები რკინიგზის მაგისტრალის აღდგენას. ყველაფერი კარგია, რაც იხსნება და რაც არ იკეტება... ეს ერთ-ერთი საშუალებაა აფხაზეთთან დაახლოებისა. ჩვენ ახალს ხომ არ ვაკეთებთ რამეს, არამედ უნდა აღვადგინოთ ის, რაც ადრე იყო.

**— ბატონო პეტრე, როგორ აფასებთ ამჟამად საქართველოში შექმნილ მდგომარეობას და როგორ უნდა განვითარდეს მოვლენები ?**

— საქართველოს ევრო-ატლანტიკური სივრცისაკენ ლტოლვას შეიძლება ვუწოდოთ „პოლიტიკური პროვინციალიზმი.“ ჩვენ ვართ ევროაზიელები და ღმერთმა გვარგუნა ამ კონტინენტზე უმნიშვნელოვანესი ადგილი. აქ უნდა ვიდგეთ ღირსეულად — ეს ჩვენი ეროვნული და სახელმწიფოებრივი თავმოყვარეობის საკითხია. ქვეყნის განვითარების კურსი ერთხელ და სამუდამოდ უნდა ჩამოყალიბდეს და არ უნდა იყოს დამოკიდებული ხელისუფლების ცვლილებებზე, რომელი „პრო“ მიმართულება იქნება... ეს მიმართულება უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ პროქართული.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# არის ასეთი აზრიც!



**წერილის სათაური აკაკის ცნობილი ლექსის „ნაძალადევ საქმროს“, დასაწყისის პერიფრაზია. ლექსისა, რომელშიც დიდი პოეტი მაშინდელი რუსეთის იმპერიას ამუნათებდა, „დამეხსენი ჩრდილოელოო“. აბა, რა იცოდა, რომ მოვიდოდა დრო და საქართველოს კეთილ მოგონებად გაუხდებოდა რუსეთთან ორასწლოვანი კოჰაბიტაციის ხანა, რადგანაც 2 საუკუნის განმავლობაში იმდენი ზიანი ვერ მიადგა ქართულ ცნობიერებას, სულიერებას, ეროვნულ მენტალიტეტს, მართლმადიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობას, ბოლოს და ბოლოს, ქართულ დემოგრაფიას, რამდენიც ზოგადად დასავლეთთან და, კონკრეტულად, ჩვენს „მეგობარ“ ამერიკასთან, სულ რაღაც 20-ოდე წლის ინტენსიურმა ფლირტაობამ მიაყენა!..**

არადა, იყო დრო, გასული საუკუნის 70-80-იან წლებში, როდესაც ჩემი, უაღრესად ამერიკანიზებული თაობა (ყოველგვარი წინწკლების გარეშე), მართლაც, როგორც უანგარო მეგობარს, ისე უყურებდა შეერთებულ შტატებს! უფრო მეტიც, საბჭოთა საქართველო 15 მოკავშირე რესპუბლიკას შორის ყველაზე ანტისაბჭოურად და, შესაბამისად, პროამერიკულად განწყობილი რესპუბლიკა იყო და „ამერიკის ხმასა“ თუ „რადიო თავისუფლებასთან“ ღამენათევებს გულუბრყვილოდ გვჯეროდა, რომ ამერიკელები, ბოროტების საბჭოთა იმპერიის ნანგრევებზე, „ოქროს სარაიას“ აგვიშენებდნენ ქართველებს!

**ძია სემის მომხიბვლელობიდან ქართველების განხიბვლის პროცესი ლამის საბჭოეთის დაშლისთანავე დაიწყო, რამაც კრიტიკულ ზღვარს დღეს მიაღწია და არა მგონია, იანკების შელახულ იმიჯს რაიმე ეშველოს, რადგან „სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობიაო“, ნათქვამია!**

ჯერ იყო და, პოსტსაბჭოთა საქართველოს პირველ, ეროვნულ ხელისუფლებას ჩაუდგა კრიჭაში ამერიკის მეთაურობით მთელი დასავლეთი და „დინების საწინააღმდეგოდ მცურავი“ ზვიად გამსახურდია მოაშთეს; მერე აბაშიძე-შევარდნაძის ხელისუფლებას კი „აცალეს“ 10 წელი, რომელიც სხვა უამრავი ნაკლის, დანაშაულების მიუხედავად, ნაცებთან შედარებით ფრთიანი ანგელოზი იყო — ბოლოს და ბოლოს შევარდნაძის „მოქალაქეთა კავშირი“ და ასლანის „აღორძინება“ უმეტესად კაცების, ტრადიციული ქართველებისგან შედგებოდა! შევარდნაძე, არც ფარულად და, მით უმეტეს, აშკარად არ ებრძოდა ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას, მას და ასლან აბაშიძეს ერთი მტკაველი ქართული მიწისა არ გაუსხვისებიათ გადამთიელებზე, არც სექსუალურ უმცირესობებს აჯეჯილებდნენ, ერთი სიტყვით, მთელი ლიბერტარიანული დასავლეთივით ვერ შეაყენეს ნეოლიბერალურ რელსებზე და ამერიკელებმა შევარდნაძე-აბაშიძის ხელისუფლება ფერადი რევოლუციით დაამხეს...

**და დადგა ნანატრი ჟამი მსოფლიო მასონ-ლიბერასტებისა — საქართველოში ყოველივე ეროვნულის, ტრადიციულის, მართლმადიდებლურის მნგრეველი და წამბილწველი, მიშნაცების ქართველთმოძულე, ფაშისტურ-სადისტური რეჟიმის ზეობის ხანა დაიწყო!**

9 წელიწადი, როგორც იტყვიან, სულს უბერავდნენ დასავლეთიდან სააკაშვილის კრიმინალურ რეჟიმს, აშშ-ს იმბეცილმა პრეზიდენტმა ჯორჯ (დაბლიუ) ბუშმა, დემოკრატიის შუქურა უწოდა საქართველოს და მის პრეზიდენტს, ოქროს ბიჭუნას ეძახდნენ მიშას თეთრ სახლში და მიუხედავად იმისა, რომ კასტრირებული კონსტიტუციის, ნულოვანი ტოლერანტობით გადავსებული ციხეების, იმავე ციხის ბუნტის სასტიკი ჩახშობის, ქუჩებში ათობით დახვრეტილი ბიჭების, 7 ნოემბრის აქციის და ტელეიმედის დარბევის გამო, დემოკრატიის შუქურა მოკლე ხანში მყრალი ჭრაქივით ახრჩოლდა, ევროპა-ამერიკა მაინც მშვიდად „უპრავებდა“ ყველაფერს, რასაც კი მოისურვებდნენ მანიაკი მიშნაცები!

ამერიკიდან წაქეზებულმა, დაუსჯელობაში დარწმუნებულმა სააკაშვილმა წამოიწყო ცხინვალის ავანტიურა, რის შედეგად დე იურედაც დავკარგეთ (ვაითუ სამუდამოდაც!) ტერიტორიების 20 % და უპირველესად ამ მიზეზით, ჰალსტუხის მღოღნელი და გორში ცხვირით მიწის მხვნელი პრეზიდენტის გადაყენების მოთხოვნით, 2009 წლის 9 აპრილს უპრეცედენტოდ მასშტაბური, პერმანენტული საპროტესტო აქციები აგორდა, რომლის დროსაც ბევრიც გვჟეჟეს, პლასტიკური ტყვიებით თვალებიც დაგვთხარეს, ეროვნული სტადიონი მაინც გავავსეთ მთელი დასავლეთის „დინგი დუნიის დასანახავად“, მაგრამ დასავლეთიდან კვლავ კბილებით დაიცვეს „დემოკრატიის ვარსკვლავბიჭუნა“...

ამის შემდეგ იყო 26 მაისს რუსთაველზე გალეწილი სისხლიანი კალო, რასაც მწვანე შუქი ამერიკის მაშინდელმა ელჩმა ჯონ ბასმა აუნთო საკუთარი უგვანო განცხადებით და შედეგად, ასობით ნაცემ-ნაწამები, წვიმიან ქვაფენილზე ერთმანეთის მიჯრით თევზებივით დაყრილი, დაბორკილი დემონსტრანტები და სახურავებზე შეყრილი მიცვალებულები!

**არავის ჰქონდა იმის იმედი, რომ სააკაშვილი 26 მაისს მომიტინგეების მოთხოვნით გადადგებოდა, მაგრამ აბსოლუტური პოლიტიკური სტაგნაციის ჟამს, რაც ისევ დასავლეთიდან შემოგდებული რვიან-ექვსიანების კლოუნადის და ადგილობრივი არჩევნების იწილო-ბიწილოს გამო სუფევდა, სახალხო კრების მიერ ორგანიზებული პროტესტი, როგორც მინიმუმ, ქართველი საზოგადოების ლეთარგიული ძილიდან გამოყვანას ისახავდა მიზნად!**

თუმცა, დამდგარი ტრაგიკული შედეგებიდან გამომდინარე, რომლის ამსახველმა კადრებმა მთელი ცივილიზებული სამყარო შესძრა, იმის იმედი გააჩინა, რომ, ბოლოს და ბოლოს, დასავლეთიდან ადეკვატური რეაქციები წამოვიდოდა, მაგრამ შენც არ მომიკვდე, დასავლეთმა, არც ამჯერად დაიჯერა „თბილისის ცრემლების“ — კვლავ პილატესებრი დუმილი, ან უკეთეს შემთხვევაში ქეთრინ ეშტონების თუ მანუელ ბაროზოების წკავწკავი არაპროპორციული ძალის გამოყენების შესახებ, თორემ დანარჩენი „დემოკრატიულ აჟურში“ იყოო. მათ შორის, მეორე დღეს, იქვე, სადაც „კვლავ გადარეცხეს სისხლი ქვაფენილს“, ჯალათი პრეზიდენტის მიერ სამხედრო აღლუმის მიღებაც...

# დაგვეხსენი, დასავლეთო, რა გვაქვს შენთან საზიარო?



## ანუ საით მიჰყავთ საქართველო?..

ტყუილად დაღვრილი სისხლი არ არსებობს და 26 მაისს მანქურთი ჯალათების მიერ დაღვრილმა სისხლმა იმავე წლის ოქტომბერში ჰპოვა გამოძახილი — **ბიძინა ივანიშვილმა, რომელმაც 2011 წლის 7 ოქტომბერს მართლაც ტექტონიკური ძვრები გამოიწვია ქართულ პოლიტიკაში, თავადვე განაცხადა, პოლიტიკაში მოსვლის გადაწყვეტილების მიღების ერთ-ერთი ფაქტორი, გნებავთ, ბოლო წვეთი, 26 მაისი იყოო!**

მოქალაქეობის ჩამორთმევას, „ქართუ ბანკის“ ანგარიშების გაყინვას და იმავე ბანკის კალვერას ბანდის სტილში დაყაჩაღებას და დიქტატორული რეჟიმის სხვა, მყისიერ ქმედებებს თავიც რომ დავანებოთ, სატელიტური ანტენების დაპატიმრება, ანუ ინფორმაციის მიღების დაბლოკვა, წესით ისეთი მიუღებელი რამ უნდა ყოფილიყო დემოკრატიის მამებისათვის, რომ სააკაშვილისთვის საჯაროდ უნდა აეხიათ ავტორიტარული ყურები...

მაგრამ დასავლეთიდან არათუ კვლავ დუმილი, მიშნაცების „მამაშა“ ჰილარი კლინტონის ჩამოსვლა ბათუმში და ქართული დემოკრატიის წინგადადგმულ ნაბიჯებზე უტიფრად საუბარი, ამერიკის ადმინისტრაციის უპირობო მხარდაჭერის ხაზგასმა იყო სააკაშვილის რეჟიმისადმი!

ეს ხაზი, ვერც ციხის გამაოგნებელმა კადრებმა შეაცვლევინა ამერიკას და სააკაშვილთან უნისონში საუბრებით, ბოლო მომენტამდე კბილებით იცავდნენ მას — დასავლეთიდანაც ისმოდა, რომ ასეთი რამეები სხვაგანაც მომხდარა და რომ მთავარი, ამ შემთხვევაში, სააკაშვილის მიერ გატარებული დროული „ორგვივოდები“ იყო ორიოდე მინისტრის განთავისუფლების სახით. დასავლეთმა და ამერიკამ მხოლოდ მას შემდეგ „დაზადნეს“, რაც სექტემბრის ბოლოს ქუჩაში გამოსული ლამის მთელი თბილისი იხილეს.

თუმცა, ბოლომდე ხელი მაინც არ აუღიათ ცოცხების სკანდალში გახვეული რეჟიმის ფარულ მხარდაჭერაზე — დღე და ღამეს ასწორებდნენ აშშ-ის საელჩოში, რათა როგორმე ოპოზიციის სახით მაინც შეენარჩუნებინათ ნაციონალური მოძრაობა, რისი დასტურიც თუნდაც ის იყო, რომ ახალი ელჩი რიჩარდ ნორლანდი, თავად ჩაბრძანდა საარჩევნოდ ყველაზე „ცხელ“ სამეგრელოში, როგორც აღმოჩნდა საკუთარი ლამის სეხნია, როლანდ ახალაიას მხარდასაჭერად!

**ამერიკელების დამსახურებაა, რომ ნაცები, რომელთაც რეიტინგული პულსი არ ესინჯებათ, 40%-ით შევიდნენ ახალ პარლამენტში! ანუ, თუ ადრე სააკაშვილი თავად ნიშნავდა საკუთარ ოპოზიციას, ახლების, ლეიბების თუ ქდმ-ს სახით, ახლა ამერიკელებმა დაგვინიშნეს ქართველ ხალხს ოპოზიციად ნაცბანდა და მისი ვადაგასული პრეზიდენტი!..**

უფრო მეტიც, სააკაშვილის მიერ აშენებულ დემოკრატიას ჩაუწერეს აქტივში ხელისუფლების არჩევნებში დამარცხების შესაძლებლობა, რაც ქართველი ხალხისთვის სულში ჩაფურთხება იყო, რადგანაც იმავე ხალხმა ხაშურის მაგალითზე კარგად დაინახა, თუ რაზე იყვნენ წამსვლელი ნაცები, რომ არა ერთ მუშტად შეკრული, გაბრაზებული ქართველი ხალხი!

რატომ სჩადიან ამას? ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, პასუხი ნათელი და მარტივია — ზოგადად დასავლეთი და კონკრეტულად აშშ, ზვიად გამსახურდიადან დაწყებული, საქართველოში ყოველივე ეროვნული შეფერილობის მოვლენას ჩანასახშივე ებრძვის და გამონაკლისი, არც ბიძინა ივანიშვილია!

მიუხედავად, რესპუბლიკელების, თავისუფალი დემოკრატების, ერთი სიტყვით, კოალიციაში შემავალი მკვეთრად პროდასავლური პარტიებისა, ამერიკას „გონივრული ეჭვი“ უჩნდება იმისა, რომ ეს ყველაფერი ბიძინას მიერ გარკვეული დროით ოსტატურად მორგებული ანტურაჟია, რადგანაც არ მგონია, რომ ბიძინა ივანიშვილი იმდენად გულუბრყვილო იყოს, რომ სოხუმ-ცხინვალის დაბრუნება (თუ მართლა იღვწის ამისთვის) რუსეთის კეთილი ნების გარეშე იფიქროს. ნების, რომელსაც ძალისძალად, ერთად აღებული აშშ-ევროპაც ვერ შეაცვლევინებს რუსეთს!

ამერიკელების მითითებითვე მგონია, ნაცების „კუჭის აშლა“, კონსტიტუციაში საგარეო კურსის უცვლელობის დაფიქსირების მიმართ, რაც იმის გარდა, რომ პრაგმატულად უაზრობაა, ისედაც გაუგონარი აბსურდია, რადგანაც...

### უცვლელი საგარეო კურსი მხოლოდ მიცვალებულს აქვს!..

ანუ, იმას, ვისაც „ნაგამი ვპერიოდ“ გაიდებენ მხარზე და ამქვეყნიდან იმ ქვეყანაში, უცვლელი საგარეო, სასაფლაოსკენ მიმავალი კურსით მიაბრძანებენ!

**ამას გარდა, არავინ იცის, ხვალ რა მოხდება. უფრო სწორედ „გუშინდლიდან“, ანუ ვლადიმერ პუტინის ხელმესამე გაპრეზიდენტებიდან ვიდრე „ხვალემდე“, ყოველმა გონიერმა ადამიანმა იცის, რომ, როგორც მინიმუმ უახლოესი 12 წელიწადი, სოხუმ-ცხინვალის გასაღები არათუ კრემლში იდება, არამედ ის გასაღები, პირადად ვალოდია პუტინის ყელზე ეკიდება!..**

ჰოდა, ხვალ რომ მოხდეს სასწაული (მეუფე სერაფიმეს აზრით, სოხუმ-ცხინვალის დაბრუნება, მხოლოდ ღვთის სასწაულით თუ მოხდება) და რუსეთმა რაღაცის სანაცვლოდ, თუნდაც ის „რაღაცა“ ევრაზიულ კავშირში შესვლა იყოს (ნეტავი, მართლა ამ მცირე ფასს გვაკმარებდნენ), წართმეულის უკან დაბრუნების რეალური პერსპექტივა დაგვანახვოს, და არა მხოლოდ დაგვანახვოს, არამედ ამ გზისკენ მიმავალი „რუსული მაპი“ მოგვცეს და პირველ ეტაპზე დევნილები დააბრუნოს საკუთარ სახლებში, კონსტიტუციაში დეგენერატული ჩანაწერის გამო უნდა ვთქვათ ამაზე უარი?

მაშინ ახლავე, რიტორიკის დონეზედაც ვთქვათ უარი სოხუმ-ცხინვალზე და, როგორც სახედარი თავის წინ ჯოხზე დაკიდებულ თივის ბულულს მისდევს, ჩვენც ნა-ტო, ნატოს უტოპიური სკანდირებით ვიაროთ ევროკავშირისკენ და სანაცვლოდ სკამზე დადებული ჭიკარტის ფუნქცია ვიკისროთ, ანუ, დასავლეთის საამებლად, კავკასიაში რუსეთის გამღიზიანებლის როლი ვითამაშოთ და, ვინძლო, ერთხელაც ისე მიგვიმტვრიონ ცხვირ-პირი, რომ აფხაზეთი კი არა, იქნებ ჯავახეთიც უკან დაგვრჩეს!..

### „თვით ოხერო, მოუვლელო, როგორ გინდა მომიარო“?..

ეს ქვესათაურიც აკაკის იმ ლექსიდანაა, ოღონდაც პერიფრაზის გარეშე — არა, **დავარცხნილ-დასუფთავებული ნამდვილად არის ბებერი ევროპა თუ ყმაწვილი აშშ, მაგრამ მე აქ ე.წ. დასავლურ ფასეულობებს ვგულისხმობ, რითიც „თავები წაგვჭამეს“ ქართველებს გარედან თუ შინიდან და, რაც მთავარია უსაფუძვლოდ, რადგანაც ჯერ ერთი ვერ გამიგია, ევროპულ ღირებულებებზე რითია ნაკლები ქართული, გნებავთ, კავკასიური ღირებულებები და, მეორეც, თუ რამე ჰქონდათ დასავლეთში მისაბაძი, იმისგან არაფერი, ან თითქმის არაფერია დარჩენილი და თანამედროვე ევროპა-ამერიკა ერთ დიდ ნეოლიბერალური გარყვნილების ბუდედ, ბაბილონის გოდოლად არის ქცეული!**

მაგრამ ამაზე ქვემოთ...

8 თებერვალს, საჯარო ბიბლიოთეკასთან მომხდარის შემდეგ, დასავლეთიდან ბოლო დროს თითქოს მიმცხრალმა კრიტიკამ „ქართული ოცნების“ მიმართ, ახალი ძალით იფეთქა — კვლავ გაჩნდა დასავლურ პრესაში შეკვეთილი სტატიები, საქართველოში პოლიტიკური ნიშნით დაჭერების შესახებ და, რაც მთავარია, ევროპელ ემისართა ჯგრო მოაწყდა თბილისს, ვადაგასული, მაგრამ მაინც „დაჩაგრული“ სააკაშვილის და მისი ნაცბანდის საქომაგოდ: **„ევროპის სახალხო პარტიის“ თავმჯდომარე ვილფრედ მარტენსი და ვიცე-პრეზიდენტი იაცეკ სარიუშ-ვოლსკი საქართველოს ხელისუფლებას აფრთხილებენ, რომ ქვეყანაში არსებული სიტუაციისა და ძალადობის გამო, რომელიც პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პარტიის წევრებზე ხორციელდება, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ მოლაპარაკებები, შესაძლოა, ჩაიშალოს“.**

იხ. 4 გვ.

◉ ინფორმაცია

## „ნაციონალური მოძრაობა“ არაფრის გადამტრიალებელი არ არის



**ამის შესახებ გუშინდელ პრესკონფერენციაზე „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა გიორგი თარგამაძემ განაცხადა. მისი თქმით, „ნაციონალური მოძრაობა“ ცდილობს, საზოგადოებასა და მედიაში დაბადოს ეჭვი, რათა მუდმივად ყურადღების ცენტრში იყოს.**

**— „ნაციონალური მოძრაობა“ არაფრის გადამტრიალებელი არ არის. ისინი ეჭვების დათესვით ცდილობენ, რათა მუდამ ყურადღების ცენტრში იყვნენ. „ნაციონალური მოძრაობა“ არის ჩამქრალი ნათურა. მათი 19 აპრილის აქცია არის ცინიკური, რადგან ქვეყნის დასავლური ცივილიზაციისკენ სვლას ხელი სწორედ მერაბიშვილმა და სააკაშვილმა შეუშალეს თავიანთი ქმედებებით, — განაცხადა თარგამაძემ. მისივე თქმით, ამ აქციის ცინიკურობას ადასტურებს ისიც, რომ „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც არის 26 მაისის და 7 ნოემბრის აქციების დამრბევი, აქციას სწორედ რუსთაველის გამზირზე მართავს.**

ინტერპრესი



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# დაგვეხსენი, დასავლეთო, რა გვაქვს შენთან საზიარო?




(მესამე გვერდიდან)

მოდი და, ნუ გაიმეორებ ათასჯერ თქმულს – **თქვე შობელძაღლებო, მაშინ სად იყავით, როდესაც სააკაშვილი და მისი ნაცბანდა 9 წელიწადი ძალადობდა საკუთარ ხალხზე?**

მაგრამ არა, ამ ნეოლიბერალებს ის მუცლის გვრემა აქვთ, რომ როგორმე, იქნება და მოხერხდეს ფაშისტური რეჟიმის რევანში – ტყუილად არ აღიარებენ იმავე განცხადებაში, რომ ნაცების, რესპუბლიკელების, ქდმ-ს ლიბერასტულ ალიკვალი ევროპის სახალხო პარტიას იმედები გაუცრუა 1 ოქტომბრის შედეგებმა!

ამიტომაც ეახლნენ „მწოლიარე ავადმყოფ" ჩიორას სახლში. თუმცა, სახლში, როო? იმ ოთახის ღარიბული ინტერიერი და „ატამანკა", რომელზედაც წინა დღეებში ასკინკილა მოხტუნავე ჩიორა იყო წამოპლაკული, სპეციალურად დადგმულ სცენას ჰგავდა, ხოლო თავად ჩიორამ სოფი ლორენის ფილუმენა, ბორდელის კახპა მომაგონა ფილმიდან „ქორწინება იტალიურად" – **ფილუმენამ თუ მილიონერი დომეს ცოლობას გამოჰკრა ხელი ავადმყოფობის სიმულაციით, ფილუმენა-ჩიორამ ტანჯული ოპოზიციონერის მანტია მოირგო იმავე ხერხით!..**

უფრო შორს წავიდნენ ამერიკელი კონგრესმენები ახალ სახელმწიფო მდივან ჯონ ქერისადმი მიმართვაში:

**„ქართველი ხალხის უფლებების, თავისუფლების დაცვისა და ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქართული დემოკრატიის შენარჩუნების ინტერესებიდან გამომდინარე, მოგმართავთ თხოვნით, გადადგათ ნაბიჯები აშშ-ის ინტერესების დასამტკიცებლად საქართველოს თავისუფლებისა და დემოკრატიის საკითხში. მოგიწოდებთ, გამოიყენოთ სრული დიპლომატიური რესურსი არსებული კრიზისის საპასუხოდ",** – ნათქვამია წერილში.

იქნება ვინმემ ამიხსნას, რას ნიშნავს **„აშშ-ის ინტერესების დასამტკიცებლად",** თუ არა იმას, რასაც მეტროპოლიის კოლონიასთან დამოკიდებულება ჰქვია? **ან სად იყო იანკების „სრული დიპლომატიური რესურსი", როდესაც ცოცხებით გვაუპატიურებდნენ ქართველებს?**

ეკონომიკის ამუშავებას, სამუშაო ადგილების შექმნას დრო და ფინანსები უნდა, მაგრამ, რაც შეეხება სამართლიანობის აღდგენას, ამას მხოლოდ პოლიტიკური ნება სჭირდება და უცებ გავაკეთებთო, არაერთხელ გვსმენია წინასაარჩევნოდ ივანიშვილისგან!

როგორც ჩანს, ეს მთლად ასე იოლი არ ყოფილა, ან სხვა რამეშია საქმე! ყოველ შემთხვევაში ბაჩო ახალაიას გარდა, სხვა მაღალჩინოსნები არათუ დაპატიმრებული, ადეკვატური ბრალდებით დაკითხულებიც ვერ ვნახეთ. გასაგებია, რომ კუბლაშვილის სასამართლო საბოტირებს პროკურატურას და წინასწარ პატიმრობას თითქმის არავის უსჯის, მაგრამ, დალოცვილო, ვანო მერაბიშვილს რომ ყალბი პასპორტის გამო იბარებ დასაკითხად, გირგვლიანის თუ ჟვანიას ჩახლართულ საქმეებს რომ თავი დავანებოთ, 7 ნოემბრის, 26 მაისის საქმეებში მერაბიშვილის ბრალეულობა ხელისგულზე არ დევს? **ადექი და ამ მუხლებით წაუყენე ბრალი რა, შე კაი კაცო, და მერე გაბედოს და გირაო შეუფარდოს თუნდაც კუბლაშვილის სასამართლომ!**

ერთადერთი, ვინც დაიჭირეს, ეს საკუთარი ნებით ციხის უსაფრთხოებას თავშეფარებული ბაჩანა ახალაიაა, რომლისგანაც ნელ-ნელა ჩვენს თვალწინეროვნული გმირი იქმნება, ქალბატონი გურგენა დონაძეც დაუძვრა მართლმსაჯულებას და ტელეეთერებიდან დაგვცინის, გაქცეული მაღალჩინოსნების დაკავება-ექსტრადიციასაც აღარ უჩანს საიმედო პირი და ამ ფონზე, როდესაც იმ „სამართლიანობას აღადგენ" ოპერატიულად, რასაც აზიზიეს მეჩეთის ნაცვლად სულთან მეჰმედის სახელობის მეჩეთის აგება ჰქვია ბათუმში, იმის გარდა, რომ, როგორც მინიმუმ, უხერხული უნდა იყოს, რადგანაც „ქართულმა ოცნებამაც" კარგად გამოიყენა, აზიზიეს თემა წინასაარჩევნოდ, ელემენტალურად სახიფათოც შეიძლება იყოს „ქართული ოცნებისთვის" და პირადად ბიძინა ივანიშვილისთვისაც, **რადგანაც, ბატონო ბიძინა, არც თქვენდამი ნდობის მანდატია უსაზღვრო და არც ქართველი ხალხის მოთმინებაა უსასრულო!**

ამ ფონზე ვის პოლიტიკურ თუ სისხლისსამართლებრივ ამნისტირებაზე საუბრობენ მეოცნებეები, რომელი უფლების ძალით, ჩვენ, ქართველ ხალხს აღარაფერს გვეკითხებიან?

**ან ლაფანყურის ე.წ. სპეცოპერაციის გამოძიებას რა უნდა? ოპერაციისა, რის გამოც ლამის სრულიად კავკასიური ომი დაიწყო! ამ პრობლემებს თომას ჰამერბერგის არბიტრად ჩამოყვანა, ჯერ ერთი, ვერ უშველის და, მეორეც, შეურაცხმყოფელია, რადგანაც სად ბრძანდებოდნენ ჰამერბერგები, როდესაც ნახევარი საქართველო ციხეებში ამოგვალპეს? რა არის, ევროპის დაუკითხავად დასაჭერი ვერ უნდა დავიჭიროთ, სად არის მაშინ ჩვენი სუვერენიტეტი? მაგრამ არა, სამართლიანობის აღდგენის პროცესს თავად „ქართული ოცნების" კოალიციაში ამუხრუჭებენ და დროა, ბიძინა ივანიშვილმა მაგიდაზე მუშტი დაჰკრას და მისი უდიდებულესობა ქართველი ხალხის უზენაეს ნებას დაუმორჩილოს კოალიციაში შემავალი ნეოლიბერალები!**

რა თქმა უნდა, თუ ბატონი ბიძინაც თვლის, რომ 1 ოქტომბრის ისტორიული გამარჯვება ქართველი ხალხის ძალისხმევის შედეგია და არა სააკაშვილის აშენებული დემოკრატიის თუ ჩვენი დასავლელი „მეგობრების" დამსახურება!

აუცილებლად უნდა გასამართლდეს მეცოცხეთა ნაციონალური მოძრაობა, როგორც დამნაშავეთა პარტია. ზუსტად ისე, როგორც გერმანული ფაშიზმი გასამართლდა ნიურნბერგში. და საქართველოშიც ისევე დასჯადი უნდა იყოს ნაცების დანაშაულების უარყოფა, როგორც გერმანიაშია დასჯადი ნაცისტების ბოროტების უარყოფა! უფრო მეტიც, რაღაც მაგნიტსკის სიის მსგავსი უნდა შევქმნათ და საქართველოს საზღვარი ვერ უნდა გადმოკვეთოს იმან, ვინც ნაცების პარტიას დამნაშავეთა პარტიად არ აღიარებს!

**პრეზიდენტის სასახლეში კი, რომელიც ისედაც ნაცების დანაშაულებათა სიმბოლური ძეგლია, უნდა გაიხსნას ოკუპაციის კიდევ ერთი, ამჯერად ნაციონალური პარტიის მიერ საქართველოს ოკუპაციის მუზეუმი, სადაც გამოიფინება 9-წლიანი ფაშისტური რეჟიმის დანაშაულებათა ვიდეო, ფოტო, აუდიო თუ სხვა სახის მტკიცებულებები. სასახლის წინ კი უნდა დაიდგას ცოცხის გიგანტური მონუმენტი, ხოლო სასახლის ფასადზე წარწერა „ბოროტსა სძლია კეთილმან", რაც ნაცების ცინიზმის კიდევ ერთი გამოვლინებაა, უნდა შეიცვალოს – „ეს აღარასოდეს განმეორდება!" როგორც აწერია ხოლმე ჰოლოკოსტის მუზეუმებს ევროპაში!**

მართლაც, ეს რა საშინელებები გადავიტანეთ 9 წლის მანძილზე, ხალხო, რას გავუძელით? ამის გაფიქრებაც კი შეგზარავს და უფრო იმისა, თუ რას გვიზამდნენ ეს ფაშისტები, 1 ოქტომბერს რომ არ გვემარჯვა და კიდევ უფრო უარესი – რას გვიზამენ ნაცები, რომ მოხდეს წარმოუდგენელი და დაიბრუნონ ხელისუფლება – ფუი ეშმაკს, ჯვარი აქაურობას!..

**რაც შეეხებათ ნაცებიდან სისხლის სამართლის დამნაშავეებს, წინადადება შემომაქვს, რომ მათ ციხე კი არა, გამასწორებელი სამუშაოები მიესაჯოთ ლაფანყურის ტყეში, სადაც მარმარილოს საბადოები ყოფილა და, რადგან ნაცების სულიერი წინაპრების – მასონების პროფესია ქვისმთლელობაა, თანამედროვე ნაცმასონებმაც მარმარილოს ქვები თალონ, ოღონდ ყოველგვარი ტექნიკის გარეშე, ხელდახელ, ჰა, ჰა, „კირკის" გამოყენების უფლებით!**

ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობაგაშვებით, თუმცა, რეალურადაც არ აწყენდათ მსგავსი სასჯელი – აბა, ერთი წარმოვიდგინოთ სპარტაკივით თავწაკრული და „კირკით" ხელში ვანო მერაბიშვილი, მამა-შვილი ახალაიები, ზურაბ ადეიშვილი, გია ბარამიძე, სოსო (დაგიჭერ) თოფურიძე და ა.შ. ქართველი ხალხის მიერ აღიარებული სხვა მრავალი სისხლის მსმელი...

სერიოზულად კი, დროა, ჩვენმა ეკლესიამაც ხმა ამოიღოს და, სანამ სამართალი პურს ჭამს, მანამდე ანათემას გადასცეს ნაცბანდის ცნობილი დამნაშავენი! ახლაც ხომ არ შევარდებიან სოსო თოფურიძე და გიგი უგულავა სინოდის სხდომაზე?

ასეთ შემთხვევაში ნაცები იძულებულები გახდებიან, რომ დემაგოგიის ლამფას დაუწიონ და ივანიშვილსაც გაუადვილდება დასავლეთევროპელი თუ ამერიკელი არამკითხე „მეგობრების" შემოტევის მოგერიება, რომელთაც ერთადერთი, რაც მაღალ დონეზე აქვთ საკუთარ ქვეყნებში, ეს ადამიანის უფლებების დაცვის გარნირით, მამათმავლობა-ლესბოსელობის, სატანისტური სექტების, ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონებისკენ ტოტალური სწრაფვაა, რასაც უწინარესად სთხოვენ ევროსაბჭოში შემავალ სახელმწიფოებს, როგორც ტესტს, ევროკავშირში გაწევრების გზაზე ერთ-ერთ მთავარ პირობას!

„განათლებულ" ევროპას უკვე ორი გაცხადებული პედერასტი, ბერლინისა და პარიზის მერები, ხოლო ციურიხში ლესბოსელი მერი ჰყავთ. პედერასტია, აგრეთვე, გერმანიის საგარეო მინისტრი გვიდო ვესტერველე. მსოფლიო მასშტაბით უკვე 11(ჰოლანდია, ბელგია, ესპანეთი (!!!), სამხრეთ აფრიკა, კანადა (!) ნორვეგია, პორტუგალია, არგენტინა (!!!), ისლანდია, დანია, შვეცია) ქვეყანაშია ერთსქესიანი ქორწინებები კანონით ნებადართული, ხოლო აშშ-ბრაზილია-მექსიკაში – ნაწილობრივ, ანუ, რამდენიმე შტატში და რიგში კათოლიკური საფრანგეთია, სადაც ამას წინათ მრავალათასიანი საპროტესტო გამოსვლები გაიმართა როგორც მომხრეების, ასევე მოწინააღმდეგეებისაც. თუმცა, ამ უკანასკნელთათვის ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონება კი არ იყო მიუღებელი, არამედ ასეთი წყვილებისთვის შვილების აყვანის უფლების მიცემა(?!). **საფრანგეთის ახალმა ლიბერალმა პრეზიდენტმა ფრანსუა ორლანდმა თუ წინასაარჩევნო (!!!) დაპირება შეასრულა და ერთსქესიანი ქორწინებები დააკანონა, 60-მილიონიანი საფრანგეთიც ოფიციალურად გაპედერასტდება და დარტანიან-ათოს-პორთოს-არამისზე რაინდულ ლეგენდასაც ჩამოეცლება რომანტიკული საბურველი!**

ეს ნახევრად ხუმრობით. სერიოზულად კი ეს კატასტროფის ტოლფასი იქნება ევროკავშირისთვის, რადგანაც საფრანგეთი, გერმანიასთან ერთად, ევროკავშირის ის ორი ეკონომიკური ვეშაპია, რომელთა გარშემოც ტრიალებენ ევროკავშირის სხვა, „თანასწორუფლებიანი" ქვეყნები და მათთვის საფრანგეთ-გერმანიის მაგალითი შეიძლება გადამდები აღმოჩნდეს!

ამას დაუმატეთ ამერიკის აწ უკვე ყოფილი სახელმწიფო მდივნის მადამ კლინტონის 2 წლის წინანდელი განცხადება, რომ აშშ-ის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტია მთელს მსოფლიოში ლგბტ-პედერასტების უფლებების დაცვა, ხოლო პრეზიდენტმა ობამამ ამ უფლებების დაცვის ხარისხს პირდაპირ მიაბა ამერიკის ფინანსურ-პოლიტიკური დახმარება; აგრეთვე ისიც, თუ რა ურცხვად მიუძღოდნენ წინ რიგაში გამართულ გეი-აღლუმს ამერიკის ელჩები ბალტიის ქვეყნებში; ისიც გავიხსენოთ, რომ ობამამ უკვე შეასრულა ჯერ კიდევ პირველად არჩევის წინ დადებული პირობა და აშშ-ის ჯარში კანონით დაუშვა სექსუალური უმცირესობების სამსახური და შარშან უკვე პირველი ლესბოსელი გენერლის კურთხევაც იზეიმეს პენტაგონში და ნურც ის დაგვავიწყდება, რომ შარშან, ობამას მეორედ არჩევის პარალელურად, შტატში ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონებაზე რეფერენდუმიც ჩატარდა, რის შემდეგაც უკვე 13 (!!!) „ბედნიერი" შტატია ამერიკაში და რიტორიკულ კითხვას დავსვამ:

**საით, ვისკენ მივდივართ, ვის ვეტენებით, აკაკის არ იყოს, მართლაც რა გვაქვს შენთან საზიარო, დასავლეთო, ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს?**

**დავით მხეიძე**

**P. S. ზუსტად 4 წლის წინათ ბატონ ჭაბუა ამირეჯიბს, ამ სტატიას რომ ეხმაურება, ისეთი კითხვა დავუსვი: დღეს, ლამის რეფრენად იქცა, „მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ევროპელი" – თქვენ რას იტყოდით, სინამდვილეში ვინ ვართ ჩვენ, ბატონო ჭაბუა, ევროპელები თუ აზიელები?**

**„ჩვენ არც ევროპელები ვართ, არც აზიელები. ჩვენ ვართ ის, როგორი სულიერებითაც მოვედით ამ დალოცვილ, მაგრამ „შარიან" მიწა-წყალზე, პლუს ის, რაც ევროპიდან და აზიიდან ვისესხეთ და გავიქართულეთ. ჩვენ ქართველები ვართ"!!!**

**ჩემი ვისაც არ გჯერათ, „თუთაშხიას" ავტორს მაინც დაუჯერეთ, თორემ ეს დასავლელი ნეოლიბერალები სადაც ნაცებთან თანაცხოვრებას გვაიძულებენ, იმავეს პედერასტებთანაც დაგვაძალებენ, რაც პრინციპში ერთი და იგივეა და რას შობი მერე?**

**„ჭკუით, ქართველებო"!..**

**დ. მ.**

## ⊙ ინფორმაცია

## „მარგებელი ჰოლდინგი" აცხადებს, რომ ქართული მიწის გაყიდვაში არ მონაწილეობს

**– ამის შესახებ ნათქვამია „მარგებელი ჰოლდინგის" მიერ გავრცელებულ პრესრელიზში. მათივე ინფორმაციით, 20 თებერვალს გავრცელდა ვიდეორგოლი, რომელშიც ინდოეთის მოქალაქე, ვინმე საინი დარმჯითი თითქოსდა ყიდულობს ქართულ მიწას.**

**„მარგებელი ჰოლდინგის" სახელით გვინდა განვუმარტოთ საზოგადოებას ამ ვიდეორგოლში ჰოლდინგის დირექტორის, ბატონი ავთანდილ სვიმონიშვილის და ჩვენი კომპანიის მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთების გამოჩენა. „მარგებელი ჯგუფში" შემავალი ერთ-ერთი კომპანია „მარნეული აგრო" ოპერირებს სოფლის მეურნეობის სფეროში. ზემოთ აღნიშნული ინდოეთის მოქალაქე, გასული წლის ივნისში სწორედ „მარნეული აგროში" იმყოფებოდა, მაგრამ არა მიწის, არამედ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (თესლის-ჩითილის) საყიდლად. ჩვენი კომპანიის წარმომადგენლებმა სტუმარს მოუწყვეს მცირე ექსკურსია და დაათვალიერებინეს საჩითილე მეურნეობა. დათვალიერების დროს გადაღებული კადრები კი სტუმრებმა საკუთარი კლიპის გადაღებისთვის გამოიყენეს, რომელიც, როგორც შემდგომში გაირკვა, საქართველოში მიწის ნაკვეთების ყიდვის რეკლამირებას ახდენდა. ჰოლდინგისა და მასში შემავალი ყველა კომპანიის სახელით, გვსურს დავაფიქსიროთ, რომ არც ამჟამად და არც მომავალში არ ვაპირებთ ჩვენი კუთვნილი მიწის ნაკვეთების გაყიდვას ან გასხვისებას და რომ საინი დარმჯითის კლიპში გახმოვანებული ძირითადი გზავნილი საქართველოში მიწის ყიდვის მიმზიდველობასთან დაკავშირებით, ჩვენს ჰოლდინგსა და მის გეგმებს არ უკავშირდება, – ნათქვამია განცხადებაში.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# რამდენიმე „შინაურული საკითხი“, დროულად მისახედი და მოსაწესრიგებელი

## 1. როდესაც საგაზეთო სტატიის შინაარსი სათაურს არ უპასუხებს

**ამ ბოლო დროს გახშირდა შემთხვევები, როდესაც საგაზეთო სტატიის სათაურებიდან არც ერთი ამ სტატიის შინაარსს არ შეესაბამება. წერილის მყვირალა სათაურზე აქცენტი ტექსტში ან სრულებით არ შეიმჩნევა, ან ძალზე მკრთალად ჩანს. ხშირად ეს სათაურები პროვოკაციულ ხასიათსაც კი ატარებენ.**



კონკრეტული მაგალითი გნებავთ? კი, ბატონო.

გაზეთ „ახალი თაობის“ მიმდინარე წლის 7 იანვრის ნომერში მოთავსებულია კონფლიქტოლოგ გოგი ხუციშვილის წერილი სათაურით: **„ივანიშვილს პრობლემებს თავისივე განცხადებები უქმნის“.** წერილის შინაარსის მიმართ საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, რაც შეეხება ივანიშვილის განცხადებებს, რომლებიც მას **„პრობლემებს უქმნიან“,** წერილში მე ვერ ვიპოვე. ვფიქრობ, ასეთი განცხადებები არც არსებობენ, წერილის სათაური კი მტერს ახარებს და მოკეთეს გულს წყვეტს.

ან კიდევ („ახალი თაობა“, 8 იანვარი 2013 წელი) **„ახალმა მთავრობამ საქართველოს ათობით ათას მოქალაქეს სამუშაო დააკარგვინა“.** ამ საკმაოდ მკაცრ სათაურსაც პროვოკაციის სუნი უდის. სტატიაში ნაამბობი სრულიად უსაფუძვლო, არაობიექტური და არარეალურია. ბატონებო (მივმართავ მკითხველებს, გნებავთ, გაზეთის რედაქციას), წამოდით ჩემთან ერთად და გაჩვენებთ ცარიელ სასტუმროებს, რომელთა უმეტესობა წლების განმავლობაში დაუტვირთავია და ამაოდ ელოდება სტუმრებს. ჩვენ კიდევ სასტუმროები გვინდა? ახალგაზრდობას სტუმრების მომსახურებაზე გაწაფვას რომ ვპირდებით, ამას რა ახსნა და განმარტება მოეძებნება. ამ რაოდენობის (ძირითადად ქართველი ქალების) დასაქმება არარეალურია...

ნებისმიერი მშენებლობის დაწყებას წინ უნდა უსწრებდეს სათანადო დონეზე დამუშავებული ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება. ასეთი მიდგომა გახდება გარანტი, რომ მომავალი ნაგებობა, არა მარტო თავისი ფუნქციონალური დანიშნულებით, არამედ ესთეტიკურად, ქალაქგეგმარების პრინციპების დაცვით, გნებავთ, ეკოლოგიურადაც, გაამართლებს თავის არსებობას.

**განადგურებულია ჩვენი ქვეყნის სამრეწველო პოტენციალის განმსაზღვრელი ტრადიციული დარგები. მარტო მევენახეობა-მეღვინეობის გახსენება რად ღირს. სადღაა ჩვენი უნიკალური მეთამბაქოეობა, მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა. რატომ აღარ მოგვყავს ტექნიკური სუბტროპიკული კულტურები. გადავხედოთ, რა დღეშია მებაღეობა, მეხილეობა, მებაღჩეობა, მეჩაიეობა; ჩაშლილია საკონსერვო მრეწველობა და წვენების წარმოება. აღარაფერს ვამბობ სამთამადნო მრეწველობაზე, მათ შორის სამთო ქიმიაზე. სადღაა ჩვენი პრიორიტეტები სეისმომდგრადობის, ჰიდროტექნიკის, შახტების, მაღაროების, რკინიგზისა და ავტოგზების, ტყის მასივების, სამგზავრო და სატვირთო საჰაერო ბაგირგზების პროექტირების საკითხებში. სად გაქრა ჩვენი ელმავალი, ავტო და საგზაო მშენებლობა, ელექტროტექნიკურ ხელსაწყოთა წარმოება, რად ვაქციეთ რუსთავი თავისი გიგანტებით! მთლიანად მოშლილია მელიორაციის სისტემა.**

აი, როდესაც ამ დარგებს აღვადგენთ და ავაყვავებთ (რისი დიდი იმედი მაქვს), მაშინ დაინტერესდებიან ინვესტორები საქართველოთი და დაიძვრებიან ჩვენკენ და სასტუმროების ქსელის გაზრდაც მაშინ დაგვჭირდება (თუ, რა თქმა უნდა, არასაკმარისი აღმოჩნდება არსებული).

სხვათა შორის, სასტუმროების მშენებლობის საკითხზე ამ ჩემს სუბიექტურ მიდგომას საბინაო მშენებლობაზეც გავავრცელებდი. ვის არ შეუნიშნავს ახლად აშენებულ საცხოვრებელ სახლზე გამოკრული აბრა **„იყიდება საცხოვრებელი და საოფისე ფართობი“,** იყიდება კი? არა, არ იყიდება. მსგავსი აბრები კი მრავლდება და მრავლდება. სახლების რაოდენობა კი განუხრელად იზრდება. სახლი შენდება ყველგან, ყოველ კუთხეში, მათ შორის იქაც, სადაც არსებული სამშენებლო ნორმებისა და წესების თანახმად არ უნდა აშენდეს. ვინ იცხოვრებს ამ სახლებში? მოსახლეობის მყიდველობითი უნარი ჯერჯერობით ამის საშუალებას არ იძლევა. ასე რომ, ერისთვის სასარგებლო ვარიანტში ამ ბინების შესახლების საკითხი ახალ თავსატეხ პრობლემებს გვპირდება ახლო მომავალში.

ქალაქგეგმარების, მშენებლობის, კეთილმოწყობისა და კომუნალური მეურნეობის საკითხებში მოზღვავებული პრობლემების მოწესრიგება რომ შესაბამისი სამინისტროს ან სახელმწიფო კომიტეტის აღდგენა სჭირდება, ეს დღეს უკვე სადავო აღარ არის. ამ იდეას მხურვალედ უჭერენ მხარს საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა საენციკლოპედიო-საგამომცემლო ფონდი და დარგის მცოდნე ისეთი კომპეტენტური პირები, როგორებიც თენგიზ სიგუა, ოთარ ფაცაცია, ნოდარ ჭითანავა, ბაკურ გულუა, გივი ანჩაბაძე, ნოდარ მეძმარიაშვილი, მერაბ ჩხენკელი, დამირ მანჯგალაძე, მერაბ ნიკოლაიშვილი, ომარ მარგველაშვილი, ჯემალ გაგუნაშვილი, ოთარ ბიბილეიშვილი, ჯვანშერ მხეიძე, ბოგდან ზატუაშვილი, ჯემალ გოგორიშვილი, რევაზ გორდელაძე, იოსებ ხელაშვილი, თენგიზ ჩიკვაიძე არიან. ამ საკითხის დადებითად გადაჭრისთვის თავგამოდებით იბრძოდა დიდი მშენებელი, აწ გარდაცვლილი იოსებ ხარატიშვილი.

## 2. ჰამლეტ ჭიპაშვილს

**ბატონო ჰამლეტ, მოხიბლული თქვენი დიდი გამჭრიახობით, ქვეყნის შიდა და გარე დიპლომატიის საკითხების ღრმა ცოდნით, მაინც ვკადნიერდები და შენიშვნას გაკადრებთ.**

მიმდინარე წლის 4 თებერვლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ თქვენმა მორიგმა, საკმაოდ საინტერესო წერილმა კითხვები გამიჩინა. თქვენ ნელ-ნელა, წინასწარ განზრახული თუ უნებლიე სვლით ახალ ხელისუფლებასთან კეთილ



ურთიერთობას შორდებით. ზემოხსენებულ სტატიაში კი აშკარად წინააღმდეგობაში ექცევით.

შესავალ ნაწილში სრულიად სამართლიანად ამბობთ: **„100 სამუშაო დღის შეფასება ხელისუფლებისთვის ახალი ხილია — უცხოეთიდან გადმოღებულ-ატაცებული და ერთობ მოუხერხებელი ქართული პოლიტიკური სივრცისთვის, განსაკუთრებით ქართული პოლიტიკური აზროვნებისთვის“.** აქვე თქვენივე განმარტებით, რომ **„... ქორფა პოლიტიკური სისტემითა და პოლიტიკოსობით, ჩამოუყალიბებელ სახელმწიფო სტრუქტურებითა და გაუმართავი აპარატით შეუძლებელია 100 დღეში გაწეული შრომის ზუსტი ან მიახლოებითი შეფასება, მით უმეტეს, იმ შემთხვევაში, როდესაც წინა ხელისუფლების მიერ ჩაოხრებული საქმე არ იძლევა. ნორმალური ფუნქციონირების საშუალებას“.** ვაპირებდი ამ საკითხზე ჩემი აზრის გამოთქმასაც, მაგრამ თავი შევიკავე, რადგან ამაზე უკეთესად ვერაფერს ვიტყოდი.

ეს, როგორც ზემოთ აღვნიშნე, წერილის შესავალ ნაწილში. შემდეგ კი ძალზე ძნელი საცნობი გახდით. სულ წყალში ჩაუყარეთ პრემიერ-მინისტრს ნაშრომი და ისეთი აზრის კორიანტელი დააყენეთ, რომლის თანახმადაც, ამ 100 დღეში ახალ ხელისუფლებას ქვეყნის ახლებურად ჩამოყალიბება უნდა დაესრულებინა, რაც მან არ ან ვერ გააკეთა. ეს კი „ქართული ოცნების“ მიმართ ოპოზიციურად განწყობილი გუნდის პროვოკაციული იდეოლოგიის გამოძახილს უფრო გავაგონებს და ობიექტური მსჯელობიდან შორს არის.

თქვენ მიმართ დიდ პატივისცემას კვლავ ვადასტურებ,ამავე დროს დავძენ იქნებ ამ საკითხებზე თქვენ და სოსო ცისკარიშვილს ერთობლივი აზრი შეგემუშავებინათ.

## 3. ვანო ჯავახიშვილს

**თქვენ, ბატონო ვანო, მიმდინარე წლის 18 იანვრის გადაცემისთვის ტელევიზიის ეკრანიდან „ჩამოხევას“ იმსახურებდით. ჯერ ისედაც ნაკლებად სახუმარო (რა თქმა უნდა, ნაკლებად სასარგებლოც) არის თქვენი სატელევიზიო „ანგლობები“. იმ საღამოს კი უკიდურესობამდე მიგვიყვანე.**

შე კარგი დედ-მამის შვილო, ვანო მერაბიშვილის მიმართ საქართველოს სასამართლოსა და პროკურატურის პრეტენზიები რომ არაფრად ჩათვალე, ფაქტობრივად, სასაცილოდ აიგდე და ეს კაცი აცინე და ახარხარე ათიათასობით დაბოლილი ტელემაყურებლის წინაშე და ამით ხსენებული ორი მაღალი უწყების პოზიცია უგულებელყავი, ეს შენი ჭკუით იყო „ჩაწყობილი“ თუ სხვამ დაგავალა?!.

რომ არ დამბრალდეს უბრალო მოქალაქეს, თითქოს წინასწარ ვაცხადებდე ყოფილ მაღალჩინოსანს დამნაშავედ, აქვე ვიტყვი — ღმერთმა ქნას, რომ მერაბიშვილი ყველაფერში მართალი იყოს, მე მისი პირადი არაკეთილმოსურნე სრულებითაც არა ვარ, მხოლოდ აქ საჭირო იყო საკითხისადმი გონივრული და თანამიმდევრული, ანუ აუჩქარებელი მიდგომა. ეს თვით მერაბიშვილისთვისაც სჯობდა.

იმედი იმისა, რომ უდანაშაულო პიროვნება დამნაშავე არ აღმოჩნდეს, დღეს უკვე რეალობად იქცა და ეს არ მოხდება.

ასე რომ, ჩვენო ვანო, თქვენ მიერ საღამოს ორგანიზებული სიცილ-ხარხარი (ანუ ღრეჭა), სრულიად უადგილო, ამორალური და რამდენადმე პროვოკაციულიც იყო. ეს თქვენი გუნდის ხუმარა წევრებსაც გადაეცი, რომლებსაც „ანგლობა“, ალბათ, თავიანთ მშობლიურ ქალაქში, ქუთაისში, გოგისვანიძეების დუქანში უფრო წარმატებით გამოუვიდოდათ, ვიდრე ტელევიზიის ეკრანზე.



## 4. კახა კუკავას

**ტყუის კუკავა.**

**ბიძინა ივანიშვილი მართლაც ლაპარაკობს საქართველოს კონსტიტუციაში გარკვეული ცვლილებების შეტანის თაობაზე, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს „თავის თავზე მორგებას“, რაც შენც კარგად იცი, მაგრამ რატომღაც სხვაგვარად ახმიანებ, მიზეზად, ალბათ, ან შენი მოსყიდვა უნდა ჩაითვალოს, ან მიუხვედრელობა.**



აქ არ ჩამოვთვლი შენს სრულიად უსაფუძვლო ბრალდებებს, გკითხავ კი, რამ გათქმევინა, რომ **„ახალი ხელისუფლება აშენებს არა დემოკრატიას, არამედ ეს არის რაღაც მარიონეტულ-ავანტიურისტულ-კორუფციული რეჟიმი, რომელიც, გარწმუნებთ, დიდხანს ვერ გაძლებს...“**

საერთოდ კი, შენ რომ ბიძინა ივანიშვილს ლანძღავ, ქართველ ხალხსაც შეურაცხყოფას აყენებ!

გადახედე შენს „მოღვაწეობას“, ხალხის სამართლიანი რისხვა არ დაიმსახურო!

## 5. შალვა ნათელაშვილს

**ბატონო შალვა, რატომ ვერ ამჩნევ, რომ ხალხს თავი მოაბეზრე შენი დემაგოგიით. ახლა მაინც დაინახე, რომ შენმა „მოღვაწეობამ“ უახლოესი თანამებრძოლეებიც რომ ჩამოგაშორა. პატარა ბავშვსაც კი არ გაუჭირდება იმის მიხვედრა, რომ ბიძინა ივანიშვილის მიმართ შენი დამოკიდებულება მხოლოდ პირადული, განაწყენებული, წარუმატებელი პოლიტიკოსის დამოკიდებულების გამოძახილია. იმ კაცს შენთვის არაფერი დაუშავებია, უბრალოდ მიზანშეწონილად არ ჩათვალა შენთან თანამშრომლობა. არადა, შენთვის კარი რომ გაეღო, დღეს მასზე ძვირფასი და საქები არავინ გეყოლებოდა. სირცხვილია ეს და შენს ავტორიტეტს ლახავს. ამ მხრივ ქალბატონი ნინო ბურჯანაძეც მსგავს პირობებშია, მაგრამ მას ეყო შინაგანი კულტურა (პოლიტიკური, დიპლომატიური) და მშვიდად, თანამიმდევრულად აგრძელებს თავის დიდ და სასარგებლო საქმეს. მჯერა, რომ ეს გზა, საბოლოოდ, სასურველ გაერთიანებას და გამარჯვებას მოიტანს.**



## 6. სად უნდა იყოს საქართველოს პარლამენტი

**საქართველოს პარლამენტი უნდა იყოს დედაქალაქში. სრული დარწმუნებით შემიძლია თქმა, რომ ამ აზრს ემხრობა ყველა, გარდა რამდენიმე მიკერძოებული პიროვნებისა და რამდენიმე ქუთაისელისა, რომლებსაც გაქირავებული აქვთ საცხოვრებელი ფართობი პარლამენტის თანამშრომლებზე.**



საქართველოს პარლამენტის თბილისში დაუყოვნებლივ დაბრუნებაზე დავა და მსჯელობა ზედმეტად მიმაჩნია. არ არსებობს პუნქტი, რომელიც ქუთაისში მის არსებობას ამართლებდეს. ასე რომ, ფუჭ მსჯელობას თავი დავანებოთ და საქმეს მივხედოთ. თბილისში პარლამენტის დარბაზი სწრაფი ტემპით უნდა აღდგეს თანამედროვე არქიტექტურულ-დიზაინურ ფორმებში, მოწესრიგდეს დანარჩენ სათავსოთა ტექნიკური მდგომარეობა და ამ მონუმენტურმა შენობამ დაიბრუნოს ფუნქცია, რისთვისაც არის აშენებული.

## 7. ვინ ზარალდება?

**ვინ და ქართველი, უფრო სწორად, საქართველოში მცხოვრები ხალხი. რით ზარალდება? — იმით, რომ ახალ ხელისუფლებას, როგორც იტყვიან, „ჯოხს უყრიან ბორბლებში“, ანუ ყოველმხრივ უშლიან ხელს ახალი საქართველოს აღმშენებლობის საქმეში.**

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ მოიხსნას ყოველგვარი ავანტიურისტული ჩარევა ქვეყნის მართვის პროცესში, ერთგულად და აქტიურად ჩაებან ამ ღონისძიებებში ქალაქების მერიები, რაიცენტრების მუნიციპალიტეტები, საკრებულოები, გუბერნატორთა აპარატები, გამართულად და მთელი პასუხისმგებლობით ამუშავდეს სამართალდამცავი ორგანოები, ყველა და ყველაფერი გადაირთოს ქვეყანაში იურიდიული სამსახურის, ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, განათლების, ადამიანთა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის რაც შეიძლება მოკლე დროში მოსაწესრიგებლად. გარწმუნებთ, ქვეყნის აღდგენის პროცესის ტემპი მინიმუმ 30-40 პროცენტით მოიმატებს და საქართველოს უკეთესი ხანა საგრძნობლად დაგვიახლოვდება.

**რევაზ ტყემალაძე,**
**საქართველოს დამსახურებული მშენებელი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## ფიქრები ხმამაღლა

**უკვე მესამედ ვწერ სტატიას ამ სათაურით. პირველად 1992 წლის იანვარში გაზეთ „თბილის-ში“ გამოვაქვეყნე. დამირეკა ერთმა კოლეგამ და მითხრა: „აფსუს, რა სათაური გააფუჭე?!“**

პუბლიცისტურ ოსტატობას არ მიწუნებდა. უბრალოდ, ის პუტჩისტების მხარდამჭერი იყო, მე კი **ზვიად გამსახურდიას** მომხრედ აღმიქვა, ანუ იმად, რაც სინამდვილეში ვიყავი. ოღონდ ესეც უნდა ითქვას: სამწუხაროდ, გამსახურდიას თავგამოდებული მომხრე თავიდანვე არ ვყოფილვარ. ასეთად მას შემდეგ ვიქეცი, როცა ჭილყვავებივით დაესივნენ და კიდევ ერთხელ გამართლდა ის, რასაც ბატონი კონსტანტინე წერდა: „თუ დიდი კაცი გამოგვერია...“

დავუბრუნდეთ სათაურს.

რამდენიმე წლის შემდეგ ის კოლეგა სასამართლოში უჩიოდა ტელეკომპანიას, რომელმაც ლამის გადამწყვეტი როლი შეასრულა ქვეყნის სათავეში თავისთვის სასურველი მთავრობის მოსვლაში.

სულ მალე ახდა ის, რის შესახებაც ზვიად გამსახურდია გვაფრთხილებდა...

* * *

**რას** გვერჩის ეს ჭუმბურიძე, გაზეთებს დამოუკიდებლობა მივეცით, კიდევ რაღა უნდათო, – უთქვამს **თენგიზ სიგუას,** ზემოხსენებული სტატია რომ უნახავს(თუ წაუკითხავს?).

რას გულისხმობდა იმჟამინდელი პრემიერი? – იმას, რომ გაზეთებს „ცარიელი თავისუფლება“ გვიბოძეს: ბრძანება გასცეს, რედაქციები „შპს“-ებად ჩამოყალიბდნენო, ის კი დაავიწყდათ, ამ „შპს“-ებს თავიანთი ქონებაც რომ სჭირდებოდათ და, რაც მთავარია, ეკუთვნოდათ – თუნდაც საოფისე ფართი, თავ-თავიანთი წილი კოსტავას №14-ში, საიდანაც უამრავი რედაქცია 2007 წელს ბარბაროსულად გამოაძევეს და ახლა დიდი ფარდის უკან კაზინოების (თუ უარესის არა) გამალებული მშენებლობა მიმდინარეობს.

ილიას მოხევე გაგახსენდება: რა თავში ვიხლიდით ასეთ „თავისუფლებას“?

**შევარდნაძე** თავისი პრესმდივნის პირით გვითვლიდა, ნუ გეშინიათ, ვიდრე მე პრეზიდენტი ვარ, მაგ შენობას, ვერავინ წაგართმევთო, ოფიციალურად გადმოცემას კი არ ჩქარობდა. ალბათ, ეგონა, სულ იქნებოდა. სააკაშვილსაც ასე ეგონა,მაგრამ მან არ დააყოვნა და შენობა 2007-ში უკვე წაგვართვა. აბა ქალაქის ცენტრში ერთად თავმოყრილ ჟურნალისტებს დიდხანს ხომ ვერ აიტანდა (?!), თანაც შენობის გაყიდვაც ეჩქარებოდა.

სხვათა შორის, დიდხანს ვერ გაყიდეს. ჯერ ოც მილიონად გაიტანეს აუქციონზე, შემდეგ გაანახევრეს, ამბობენ, ბოლოს **ლაურა ღაჭავას** ერთ ლარად გადასცესო.

ნუთუ მართალია?!

რამდენმა ღირსეულმა ჟურნალისტმა დაკარგა სამუშაო, საარსებო სახსარი, რაც მთავარია, პროფესია!

* * *

**რომელი** ჟურნალისტი მოგწონთ? – ხშირად მეკითხებიან სტუდენტები.

მოელიან, რომ აუცილებლად დავასახელებ ინგა გრიგოლიას, ეკა ხოფერიას, ეკა კვესიტაძეს, ნანუკა ჟორჟოლიანს, მაია ასათიანს, შალვა რამიშვილს...

მე კი იმათი დასახელება მსურს, ვისაც ისინი, საუბედუროდ, არ იცნობენ.

რამდენი ნიჭიერი და ერუდირებული ჟურნალისტია ჩრდილში!

და რა უნდა ქნა იქ, სადაც **მაკა ჯოხაძესაც** პუბლიცისტი ჰქვია და **მაია ორჯონიკიძესაც** (ახლა **ნათია მეგრელიშვილიც** რომ მიემატა).

ამ დროს მაკა ჯოხაძის ერთი კალმის მოსმა (ერთი ფრაზა) არ გაიცვლება ერთად აღებულ ყველა თოკშოუში.

მაინც მეკითხებიან აზრს ძალიან ცნობილებზე.

რა უნდა ვუპასუხო?

ის, რომ **ინგა გრიგოლიას** ქდმ მართლა ოპოზიციური პარტია ეგონა?!

ანდა რა ვუთხრა **ნანუკა ჟორჟოლიანსა** და **ეკა კვესიტაძეზე,** რომლებიც ყველაფერს ისე აგრძელებენ, თითქოს პირველი ოქტომბერი არც ყოფილა და მათი თანამეცხედრეებიც ისევ „იქ“ ისხდნენ?!

თუნდაც იმავე **შალვა რამიშვილზე** რა უნდა ვთქვა მას შემდეგ, რაც **მამუკა ღლონტის** კომენტარი წავიკითხე – „მაესტროდან“ შალვას წასვლა მისთვისაც კარგია და არხისთვისაცო?!

შალვა ჭკვიანია და იცის,რომ რევოლუცია ხშირად ჭამს საკუთარ შვილებს, მაგრამ ის გამორჩა, რომ თავადაც „შვილია“: პირველი ოქტომბერი ხომ, ფაქტობრივად, მშვიდობიანი რევოლუცია იყო – ხუმრობა ხომ არ არის სააკაშვილის პირსისხლიანი რეჟიმის დამარცხება.

რაც მთავარია, შალვამ დაიჯერა, რომ სამყარო მის ირგვლივ ბრუნავს.

ჟურნალისტიკაზე მისი თეორიული შეხედულებანი ხომ პირდაპირ გამაოგნებელია: ტელეჟურნალისტი აუცილებლად სუბიექტური უნდა იყოს, ხომ გაინტერესებთ, რა მომწონს, რა არ მომწონს, აბა მშრალად და უემოციოდ მოვლენებს გაზეთიც კი გააშუქებსო (?!)...

ამ დროს პირველკურსელებს ვასწავლით ტატიანა რეპკოვას (ფრანგი მედიამკვლევარია) აზრს იმის შესახებ, რომ ჟურნალისტიკაში აბსოლუტური ობიექტურობა მიუღწეველია, მაგრამ პროფესიონალი ჟურნალისტი ცდილობს, იყოს დაბალანსებული.

ცხადია, მნიშვნელობა არა აქვს, პროფესიონალი ჟურნალისტი ტელევიზიაში მუშაობს, თუ გაზეთის რედაქციაში.

# ჟურნალისტის ბედი საქართველოში



შალვამ კი, ტელეჟურნალისტი აუცილებლად სუბიექტური უნდა იყოსო!

და ვინ იცის, მისგან რამდენი ასეთი „სიბრძნე“ მოგვისმენია!

თუმცა, ყველაფრის მიუხედავად,არ შეიძლება, ვიყოთ დაუნახავნი და უმადურნი: შალვამ ბევრი იშრომა სააკაშვილის რეჟიმის დამარცხებისთვის.

სხვათა შორის, არც თვითონ უნდა იყოს უკმაყოფილო: დაუფასდა კიდეც.

* * *

**ქართულ** ტელესივრცეში როგორც იქნა, დამთავრდა ყვირილის ხანა და მშვიდი წამყვანების ეპოქა დადგა.

**ნინო ჟიჟილაშვილს,** ამ მხრივ, ზედმეტიც კი მოსდის, მისი მწყაზარობა ერთგვარ პოზადაც კი მეჩვენება – იქნებ იმიტომაც, რომ ვერაფრით დამივიწყებია ის „ღვაწლი“, მას და მის კოლეგებს **(ია ანთაძე, ზვიად ქორიძე...)** ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის დაკნინებაში რომ მიუძღვით: პირველი უსამართლო კონკურსების დროს, როცა უნივერსიტეტს ყველაზე ღირსეული პროფესურა ჩამოაშორეს, ისინი ჟიურის წევრები იყვნენ.

**ნინო შუბლაძის** ინტელიგენტური მანერა, ასევე მშვიდ ტონალობასთან შეხამებული, ბევრად უფრო ბუნებრივია, ხანდახან იმასაც კი მავიწყებს, რომელ არხს ვუცქერ, მაგრამ ეს... მაინც „რუსთავი 2“-ია.

ისევ **თეა სიჭინავას** იმედად ვრჩები – მშვიდიც არის და ცოცხალიც, დაბალანსებულობასა და ყველას მიმართ კეთილგანწყობასაც ძალდაუტანებლად ახერხებს, თანაც შინაგანი პატიოსნებით არის განათებული.

ცხადია, არ უნდა გამოგვრჩეს **ვასიკო ოდიშვილი** – „თავის სტილში“ ის მართლაც შესანიშნავია.

* * *

**როგორც** ჟურნალისტიკის მკვლევარსა და ლექტორს, შემიძლია, თამამად ვიმსჯელო ასეთ საკითხებზე, მაგრამ როგორც პრაქტიკოს ჟურნალისტსა და რედაქტორს? – ხომ არ მკითხავენ, საკუთარ თავზე რას იტყვიო?

კი, ბატონო, ვიტყვი:

გაზეთ „თბილისს“ 1997 წლიდან ვრედაქტორობდი – ორი პრეზიდენტისა და ოთხი მერის **(შოშიტაიშვილი, ზოდელავა, ჭიაბერაშვილი, უგულავა)** ხელში.

ყოველთვის, როცა ახალი მერი ინიშნებოდა, პირველ გვერდზე ვწერდი: **„გაზეთი „თბილისი“ ემსახურება თბილისს და არა თბილისის მთავრობას“** (მარკესის ცნობილი სიტყვების პერიფრაზი).

საბედნიეროდ, ამას ყველა მერი ეგუებოდა. უგულავას გარდა.

**უგულავამ** გაზეთ„თბილისს“ დაფინანსება ( სუბსიდია) შეუწყვიტა. ოფიციალური მოტივი ასეთი იყო: ამას კანონმდებლობა გვიკრძალავსო. სამაგიეროდ, კანონმდებლობა არ უკრძალავდა **„პრაიმ-ტაიმის“, „თბილისი-ლაივისა“** და, როგორც ამბობენ, თვით **„ვანოს შოუს“** დაფინანსებას.

რასაც „თბილისის“ ფურცლებზე ვწერდი, ყველაფრის ნახვა ჩემს წიგნებშია შესაძლებელი **(„შეუკაზმავი ცხენი“, „ჟურნალისტიკა დროში“, „სახიფათო ჩანაწერები“...)**

ყველაფერი მაინც „სახიფათო ჩანაწერების“ ბრალია.

თავის დროზე, ზვიად გამსახურდიამ ( იმ დროს რედაქტორის მოადგილე ვიყავი ) „თბილისს“ სტატუსი აუმაღლა – მერია დიქტატს ველარ გაუბედავსო, და გაზეთის სათაურის ქვეშ ასე წავაწერეთ (ფორმულირება მე მეკუთვნოდა): **„საქართველოს უზენაესი საბჭოს გაზეთი დედაქალაქისათვის“**

უგულავამ კი სუბსიდია შეუწყვიტა.

თუმცა მეუბნებოდნენ, რომ ეს უფრო ბეგაშვილის ბრალი იყო, რასაც, ცხადია, არ გამოვრიცხავ. ყველაზე მეტად კი იმ ვერსიის მჯერა, რომ გაზეთის ბედი „ზემოთ“ იყო გადაწყვეტილი.

რატომ?

ერთხელ გურამ შარაძემ მითხრა, მინდოდა გამოქომაგება, მაგრამ არ დამჭირდა, ზურაბ ჟვანიამ დაგიცვაო.

– რა ხდებოდა და სად, ბატონო გურამ?

– პარლამენტის ბიუროს სხდომაზე ითქვა, ეს „თბილისი“ რომ გვაკრიტიკებს, მაგას ხომ მერია აფინანსებსო. დავაპირე თქვენი დაცვა, მაგრამ ჟვანიამ დამასწრო და თქვა, ეს რა შუაშია, გაზეთს აქვს უფლება, თავისი პოზიცია გამოხატოსო.

ჟვანია უდავოდ ჭკვიანი იყო: ამით გაზეთი კი არა, პარლამენტის პრესტიჟი დაიცვა.

ხელისუფლებას კი ნამდვილად ვაკრიტიკებდით, მაგალითად, პასპორტებიდან ეროვნებისა და მამის სახელის გაქრობის გამო. სწორედ წინა დღეებში გამოვაქვეყნე სტატია სათაურით: **„ენას კომუნისტები გვართმევდნენ, ეროვნებას საკუთარი ხელისუფლება გვართმევს!“**

* * *

**ვანო ზოდელავას** მერობის დროს ჩემთან მოვიდა ბადრი პატარკაციშვილის წარმომადგენელი და მითხრა (ამის თაობაზე გაზეთშიც დავწერე და იმ პიროვნების ვინაობაც დავასახელე), ვიცით, მერია მიზერული თანხით გაფინანსებთ, ჩვენ ათჯერ მეტს მოგცემთ, ოღონდ საკონტროლო პაკეტი დაგვითმეთო.

მთელი გულუბრყვილობით ვკითხე: „მე რომ დაგთანხმდეთ, გაზეთს მერია დათმობს?“

ამას ჩვენ მივხედავთო...

შემდეგ ეს კითხვა ზოდელავასაც დავუსვი და ამ თემაზე მსჯელობა შეწყდა.

ჩემი პოზიცია დღემდე უცვლელია: „თბილისი“ დედაქალაქის გაზეთია და ის აუცილებლად დედაქალაქის მერიამ უნდა დააფინანსოს.

ვფიქრობ, ახსნა არ სჭირდება იმას, რომ ისეთი გაზეთი, როგორიც „თბილისია“, თავისი დანიშნულებითა და ეთიკური პოზიციით, უსუბსიდიოდ ვერ იარსებებს.

* * *

**2012 წლის** 7 დეკემბერს თბილისის საკრებულოს გაზეთ „თბილისის“ დაფინანსების თაობაზე ოფიციალურად მივმართე. **ზაალ სამადაშვილმა** ჩემი განცხადება შესაბამის კომისიას გადაუგზავნა, იქიდან კი მერიაში გადაგზავნეს, ორ თვეზე მეტი გავიდა. პასუხი კი არ ჩანს. როცა ტელეფონით მოვიკითხე, მითხრეს, განხილვის პროცესშიაო.

ვნახოთ, რას მიპასუხებენ.

* * *

**ყოველი** არჩევნების წინ გიგი უგულავა მოსახლეობას ფერად ალბომებს ურიგებდა. ეს უაზრო რეკლამა იმდენი ჯდებოდა, გაზეთ „თბილისის“ გამოცემას 10 წელიწადს მაინც უზრუნველყოფდა.

კანონმდებლობა არც ამას უკრძალავდა.

პირველმა ოქტომბერმა ბევრი რამ შეცვალა, მაგრამ არა თბილისის მერიაში.

ჯერჯერობით...

* * *

**გიგი უგულავა** დაკითხვაზე უარს აღარ ამბობს – სასამართლომ დაავალა.

გაზეთ „თბილისის“ აღდგენას ვინ დაავალებს?

რამდენიმე შეკითხვას მეც დავუსვამდი, მაგრამ...

წაქცეულს მხოლოდ ნაციონალები ურტყამენ.

**იოსებ ჭუმბურიძე**

## ჭინჭარსიტყვა

*სამი სათრევველათი და ერთადერთი მოთხოვნით:*

# ნაპრეზიდენტალი – დეპოში!

### აქა ამბავი ცოცხისტყაოსნებისა

როგორც კი გამოჩნდა
ცოცხების კოლოსი,
რომლებმაც ცოდვები
ვერ ზიდეს,
იმავ წამს სოროში
მშველელად სოროსი
ეწვია ყავლგასულ
პრეზიდენტს.

ყასიდი ტკივილით და
მგლური ყმუილით
სხვასაც ბევრს მოუხმეს
ნაცებმა
და ევროსაბჭოში
ნათქვამი ტყუილი
საჩქაროდ დაუდგათ
დამცველად.

### დეპოში!

რას გვეტყვი, ნეტავი.
ნაპრეზიდენტალი,
კვლავ რატომ პირშაობ?

რაკი არ გვინდიხარ,
იმ ყორნად გვიზიხარ,
რომ ვერ წმენდს ქვიშაო.

გიხმობენ დეპოში:
– არ გინდა დებოში,
წამოდი, მიშაო!

### ვინა ხარ?

ყავლგასული უღვთოდ
უკვე კარგა ხანს,
მიშველეთო, უხმობ,
გადამთიელ ხალხს.

ჩვენ რად განუგეშოთ,
რატომ?
ვინა ხარ,
პოლიტიკურ ლეშს რომ
ისევ გინახავთ?

**ალექსანდრე შენგელია**

– – – – – – – – –

### გაღორება

ჟამი დგას გულის ხეთქვის,
კიდეც მწარედ დაღონდა.
ნაცებზე რაღა მეთქმის,
როცა გრიპიც კი გაღორდა...

### გადადგა პაპიც რომისო, ეს მოგვშორდება როდისო...

კვლავ უშნოდ დარბის
განდაგან,
არც არავინ ჰყავს დამშლელი.
თვით რომის პაპიც გადადგა –
მიშას არ უჩანს საშველი...

### ფიქრები მერმისის პრეზიდენტზე

ნუ იქნება ამასავით,
ან ამაზე გრძელი,
ბაქია და ცრუპენტელა,
დემაგოგი ძველი;
თუ ღვთისმშობლის
წილხვედრი ვართ ასულნი
და ძენი –
ღმერთო, ერთხელ მაინც
მოგვე წინამძღოლი ბრძენი;
ეს იქნება სასწაული და
ძვირფასი ძღვენი...

**რამაზ ილმელი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## მადლცხებული

*დიდი სასყიდელი აქუს,*
*რომელი აქებდეს მოყუასსა.*

**წმ. მაკარი დიდი.**



# ყველაზე უფროსი გვანცა

პატივცემულ დროს მინდა ვთხოვო, ცოტა ხნით მისი შეჩერების საშუალება მომცეს, რომ ისეთ თემაზე შევძლო ყურადღების გადატანა, რომელიც მედიის ყოვლისწამლეკავი ინფორმაციის რიტმისაგან დროებით მაინც გაგვათავისუფლებდა. მით უმეტეს, რომ საგანი ამ თემისა სულაც არ არის მისი კუთვნილება: სულიერი და ზნეობრივი კატეგორიები დროს არ ექვემდებარებიან. მეც სწორედ იმგვარ ადამიანზე მოგითხრობთ, რომელიც ოცდაათ წელზე მეტია ამ კატეგორიათა საზოგადოებაში დასანერგად მთელი მისი არსებით თავდაუზოგავად იღვწის.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **გვანცა კოპლატაძე**, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ინტელიგენტი ქალია, გურულებისთვის დამახასიათებელი სიფიცხითა და სითბოთი, ღირსეული ასული პატიოსანი მშობლებისა, მაგრამ მას ღმერთმა ისეთი ნიჭი და უნარი მიმადლა, რომ არა მარტო თავისი გვარიდან, არამედ აქამდე შობილ ბევრ ქართველ დედათაგანაც კი გამოირჩია. გადაჭარბებული რომ არ არის ჩემი შეფასება, მისი საქმეთა გაცნობით მალე დარწმუნდებით.

ისიც ვიცი, რომ შური უმისამართოდ დაეხეტება ამ ცოდვიან დედამიწაზე, მაგრამ ჩვენს მომავალ თაობას თანამედროვე მოღვაწენიც ხომ უნდა გავაცნოთ და მაგალითიც ვაჩვენოთ იმისა, რომ ქვეყნის სამსახური ღირსეულ კაცთა მოქალაქეობრივი ვალდებულებაა და ყოველი მათგანი მასზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას თავდაუზოგავი შრომითა თუ სწავლით უნდა აღასრულებდეს.

ამგვარი შრომის ნაყოფია საქართველოს ეკლესიის 2013 წლის კალენდარი, რომელიც ქ-ნი გვანცას, როგორც საპატრიარქოს გამომცემლობის თავმჯდომარის, ხელმძღვანელობით გამოცემული სერიიდან, 1994 წლიდან მოყოლებული რიგით მეოცეა. მეტისმეტად ბევრი საქმე დაიტია ამ ერთმა წინადადებამ, რადგან თითოეული კალენდარი დაახლოებით 300-გვერდიანი წიგნია და მათში გამოქვეყნებული თხზულებები ძირითადად სწორედ ქ-ნ გვანცას ეკუთვნის.

რამდენადაც არ უნდა ვეცადოთ სიტყვის შემოკლებას, გვერდი არ აევლება ძველი ბერძნული ენიდან შესრულებული ბიბლიური და საღმრთისმეტყველო ტექსტების თარგმანების მნიშვნელობას, რომლითაც ქ-მა გვანცამ არანივთიერი ხიდით დაგვაკავშირა ჩვენი ღვაწლმოწილი მამების იმ უძველეს ტრადიციასთან, როცა ისინი ათონის, სინის თუ შავ მთათა ზედა მოწეული სულიერი პურით ქართულ სამწყსოს ასაზრდოებდნენ. რომ არა განსაკუთრებული მადლი უფლისა, ტრადიციის გაცოცხლებას თითქმის ათი საუკუნის შემდეგ ერთი ადამიანი, თანაც დედაკაცი, ნამდვილად ვერ შეძლებდა. ბიზანტიურ ეპოქაში ჰაგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული ნაწარმოებების შემქმნელი რამდენიმე ქალი ცნობილია, მაგრამ წმ. მამათა თეოლოგიური თხზულებების მთარგმნელი მარტო პროფ. გვანცა კოპლატაძეა! სხვათა შორის, ასეთს ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიაც არ იცნობს.

მისი „ქრისტიანული ეკლესიის ისტორია“ (დასაბამიდან კონსტანტინეპოლის დაცემამდე) საპატრიარქოს გამომცემლობამ უკვე ხუთჯერ გამოსცა. მიუხედავად ბოლო დროს მომრავლებული „ისტორიებისა“, ქ-ნ გვანცას ეს სახელმძღვანელო პოპულარობით იმიტომ სარგებლობს, რომ ავტორს ახასიათებს ამბის გადმოცემის ნათელი სტილი, ობიექტური და შეუფერადებელი თხრობა. რაც მთავარია, ეს არ არის ისტორიულ მოვლენათა მშრალი ქრონოლოგიური აღწერა; ავტორი მორალურ-სარწმუნოებრივი ანალიზის საფუძველზე ცხოვრებისეულ კანონზომიერებებს ადგენს. ამაში მას არა მარტო საეკლესიო მეცნიერებათა ცოდნა, არამედ საერო ლიტერატურასა და ფილოსოფიაში განსწავლულობაც უწყობს ხელს. ბასილი დიდის მხატვრული ენით თუ ვიტყვით, ქ-ნი გვანცას საღმრთისმეტყველო ერუდიციის ხე გარეშე მეცნიერებათა მეშვეობით არის შეფოთლილი და დამშვენებული.

ამავე წიგნში განხილულია პეტრე იბერის ალმსარებლობის საკითხი, რომელიც საფუძვლად დაედო ცნობილი ქართველი მოღვაწის კანონიზაციის აღდგენას. თუმცა, წმიდა სინოდმა ამ გადაწყვეტილების აღსრულება შეაჩერა პეტრე იბერის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებათა გამო, მაგრამ ქ-ნი გვანცას მიერ წმინდანის სასარგებლოდ მოხმობილ არგუმენტებზე ოპონენტებს დღემდე დასაბუთებული პასუხი არ გაუციათ. უნდა აღინიშნოს, რომ საკითხის გამწვავების კვალდაკვალ ქ-მა გვანცამ კიდევ უფრო განმტკიცებული ფაქტების გათვალისწინებით ახალი ნარკვევი გამოაქვეყნა, რომელიც საერთოდ მიუდგომელი კლდე აღმოჩნდა პეტრე იბერის კანონიზაციის მოწინააღმდეგეთათვის. ისინი ისე დადუმდნენ, თითქოს არც არაფერი სმენიათ მათს მოსაზრებათა გამაბათილებელ არგუმენტებზე.

ვის არ სმენია, განსაკუთრებით საეკლესიო საზოგადოებაში, სახელი გაზეთისა „მადლი“, რომელიც ქ-ნ გვანცას რედაქტორობით 1990 წლიდან გამოდის. მასში გამოქვეყნებული მასალებით ცალკე წიგნებად ოცამდე ნაშრომი გამოიცა, ხოლო „მადლის“ 1990-2010 წლების რჩეული წერილების ორი კრებული (თითოეული 800-გვ-იანი) უკვე დაიბეჭდა, ორი კი გამოსაცემად არის მომზადებული. საერთოდ, საუბარი ამ გაზეთის წვლილზე, რომელიც მან შეიტანა პოსტკომუნისტური ქართველი საზოგადოების ქრისტიანული მსოფლმხედველობის განვითარებაში, შორს წაგვიყვანდა, მაგრამ მისი უწმიდესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის შეფასებას გავიმეორებთ: „მადლმა“ მადლი მოიტანა საქართველოში. — მარტო ამისთვისაც კი ღირდა ცხოვრება და, მით უმეტეს, ქ-ნი გვანცას იმ ლიტერატურული შემოქმედების გათვალისწინებით, რომლის მარტო აღწერაც კი ორმაგად გაზრდიდა სტატიის მოცულობას.

პუბლიცისტიკა ქ-ნი გვანცას მოღვაწეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა, რადგან გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული, არ მახსენდება ქვეყნის წინაშე არსებული საჭირბოროტო არც ერთი პრობლემა, მისი სტატია არ მოჰყოლოდეს, რომლებშიც ეს პრობლემები ყოველთვის გონივრულად და სამართლიანად იყო გაანალიზებული. საერთოდ, ჩვენი აზრით, ინტელიგენციის ცხოველმყოფელობას მიმდინარე პოლიტიკურ და კულტურულ პროცესებზე გამოხმაურება და მათი გადაჭრის გზების ძიება უნდა ასაჩინოებდეს.

ცალკე უნდა ვთქვათ პროფ. გვანცა კოპლატაძის პედაგოგიურ მოღვაწეობაზე. გარდა იმისა, რომ იგი თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში მათი დაარსებიდანვე, 1988 წლიდან ასწავლის, ქალბატონი გვანცა უპირატესად მაინც მისი მშობლიური, ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ღირსეული წარმომადგენელია, სადაც ის ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიასა და მის ცალკეულ დარგებს ასწავლის.

პედაგოგის ღირსების ერთი მხარე მისი მაღალი პროფესიული დონეა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია, როცა იგი სტუდენტისთვის მოქალაქეობისა და პატიოსნების ნიმუში ხდება. პირადად არაერთხელ შევსწრებივარ ქ-ნი გვანცას მიმართ ყოფილი სტუდენტების მიერ გამოხატულ მადლიერებას, რომელსაც პედაგოგისთვის ყველა ჯილდოზე მეტი ფასი აქვს. სათაურად გამოტანილი სიტყვებიც იმაზე მიგვანიშნებს, რომ არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ძველი ქართული სახელი გვანცა დედოფლისა მხოლოდ ორიოდე ქალბატონს თუ ერქვა, მაგრამ მისი სიყვარულის გამო ყოფილმა სტუდენტმა გოგონებმა ეს სახელი თავიანთ შვილებს უწოდეს და მას პოპულარობაც მოუპოვეს.

ჯერჯერობით სიტყვას აქ დავასრულებ და ქ-ნ გვანცას ვუსურვებ კიდევ მრავალი საეკლესიო კალენდრის გამოცემას, შემოქმედებით სიმდიდრეს და ცხოვრებისეულ კეთილდღეობას, რათა მისი სათაყვანებელი საქართველოს მაღალი კულტურა კიდევ მრავალი ლიტერატურული ძეგლით გაამდიდროს და გაამშვენიეროს.

**გრიგოლ რუხაძე.**

## „გალაქტიონოლოგიის“ ახალი კრებული

# „ვწუხვარ, ერთადერთი ვარ!“

ეს, მხოლოდ მას შეეძლო განეცხადებინა საქვეყნოდ: „ვწუხვარ, ერადერთი ვარ“... „აქ დაიდგმება პოეტის ძეგლი, ბავშვები მოვლენ ფერად წიგნებით“... „მე მოვკვდები, როგორც პოეტს შეჰფერის!“ ეს მხოლოდ მან მოიპოვა უფლება, დაებარებინა შთამომავლობისთვის, შექმნილიყო სპეციალური დარგი — **„გალაქტიონოლოგია“**, მისი ფენომენის, მისი სიდიადის საკვლევად.

ჰოდა, ცნობილი ლიტერატორისა და მკვლევარის თეიმურაზ დოიაშვილის ძალისხმევით შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ამ ათი წლის წინათ შეიქმნა კიდეც **„გალაქტიონის კვლევის ცენტრი“** და დაარსდა ყოველწლიური კრებული **„გალაქტიონოლოგია“ (რედაქტორი თეიმურაზ დოიაშვილი)**.

ამ სერიის დღემდე გამოქვეყნებული ხუთი წიგნი, ფართო საზოგადოებრივი აღიარება რომ მოიპოვა, არა მხოლოდ ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ახალი აკადემიური დარგის — გალაქტიონოლოგიის სახეს წარმოაჩენს, არამედ „გალაქტიონის კვლევის ცენტრის“ სამეცნიერო-კულტურული მოღვაწეობის ცოცხალი მატიანეა.

მახსოვს, რა ინტერესით შეხვდა ქართველი ინტელიგენცია „გალაქტიონოლოგიის“ პირველი წიგნის გამოცემას. ხელიდან ხელში გადადიოდა ეს კრებული, რადგან გალაქტიონი, მისი სამყარო ხომ ყველა ქართველისთვის ძალიან მახლობელი, ბევრი თვალსაზრისით, ჯერაც ამოუცნობია. ამ კრებულში და შემდეგაც, უმეტესად, მოგონებები სჭარბობდა გალაქტიონზე, ყველა ცდილობდა, თავი „მოეწონებინა“ იმით, თუ როგორ შეხვდა „საქართველოს პოეტების მეფეს“, როგორ ისაუბრა მასთან, როგორ გადაჰკრა ერთი-ორი ჭიქა და ასე შემდეგ... ერთი სიტყვით , „გალაქტიონოლოგია“ „ფეხს იკიდებდა“, ხოლო მერე და მერე, „გალაქტიონოლოგიის“ კრებულებში, ცხადია, იყო გამოკვლევების, წერილების, რეცენზიების სიჭარბე ასე „ცნობილი უცნობის“ შემოქმედების შესახებ.

და აი, **„გალაქტიონოლოგიის“ მე-6 წიგნი,** რომელიც ახლახან გამოვიდა... იგი უპირველესად ყურადღებას იქცევს გალაქტიონის სამყაროს მრავალმხრივი კვლევით. თითქოს შეერთებულია ცნობილი ქართველი მწერლების, პოეტების, ლიტერატორების, მთარგმნელების, მეცნიერების — **როსტომ ჩხეიძის, ლევან ბრეგაძის, ირაკლი კენჭოშვილის, ნათია სიხარულიძის, ემზარ კვიტაიშვილის, თეიმურაზ დოიაშვილის, კონსტანტინე ბრეგაძის, ნინო დიასამიძის, ვახტანგ ჯავახაძის, გურამ გოგიაშვილის, კრისტინე ლეხტენფენლდის, ფატი დიდიას, კახი იოსებიძის, ნოდარ ნებიერიძის, ნათია სიხარულიძის, ეკა იმერლიშვილის** აზრი და მისწრაფება, როგორმე ქართველ საზოგადოებას, მეტადრე, ახალგაზრდობას გააცნონ თითქოს ყველასთვის ასე ნაცნობი პოეტური გენია.

საყურადღებოა კრებულის სარედაქციო კოლეგიის მიმართვა იმათთვის, ვისაც კვლევის საგნად გალაქტიონის სამყარო აურჩევია. აქ ვკითხულობთ: **„ამ დარგში სრულყოფილი მუშაობისთვის ძალზე მცირეა მხოლოდ გალაქტიონის პოეზიის სიყვარული და კვლევის დაუძლეველი სურვილი, ან თუნდაც მისი პოეზიის განსაკუთრებული ისტორიული როლის აღიარება, ან მხოლოდ ფაქტოლოგიური მასალის ზედმიწევნით ცოდნა, ან მხოლოდ თანამედროვე ლიტერატურულ-თეორიული აზროვნების მონაპოვართა შესწავლა, ან მხოლოდ ქართული პოეზიის, ქართული ლექსის ბუნების შეცნობა, ან მხოლოდ მეცნიერული ალღო... მომავლის მკვლევარი-გალაქტიონოლოგი სინთეზურად უნდა ფლობდეს ამ ყოველივეს.**

**დარგი ამგვარ ახალ თაობას ელის. დაე, ახალგაზრდა მეცნიერებს მეტისმეტად ნუ შეაკრთობს ეს სიტყვები!“..**

მართლაც, თავად გალაქტიონი ხომ სრულიად უბრალოდ ეუბნებოდა ყველას, განა მარტო მეცნიერებსა და მკვლევარებს, ყველას, ყველას: **„ვინაც გაიგებს ჩუქურთმას ქართულს, ის პოეზიას ჩემსას გაიგებს!“**

ჰოდა ასე, ვისწავლოთ გალაქტიონი!

**ვილენ მარდალეიშვილი**






PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილმა ამნისტიაზე უარი განაცხადა

## საქართველოს პრეზიდენტმა პუტინის საფრთხე გაიხსენა

**ოთხშაბათს საქართველოში საპარლამენტო უმრავლესობამ და ოპოზიციამ შეწყვიტეს მრავალდღიანი მოლაპარაკება კონსტიტუციის ცვლილებების შესახებ, რომლებიც მიზნად ისახავენ პრეზიდენტის უფლებამოსილებათა შემცირებას. ორი პოლიტიკური ბანაკის წარმომადგენელთა სიტყვებით, დაპირისპირებათა ნაწილი მათ მაინც გადალახეს, მაგრამ პრობლემები რჩება. ამ დროს იმის უუნარობაში, რომ მოილაპარაკონ, ბრალი დასდეს ერთმანეთს.**

იმის შესახებ, რომ მოლაპარაკება წყდება, საზოგადოებრიობას ცალკე გამართულ ბრიფინგებზე აცნობეს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა და უმცირესობის ლიდერმა, ექსსპიკერმა დავით ბაქრაძემ. მთავარი აზრთა სხვადასხვაობა, რაც ვერ გადალახეს, არის საკითხი, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფო მოსამსახურეთა შესაძლო ამნისტიის პირობებთან.



როგორც უსუფაშვილმა აღნიშნა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები თანხმობის ნაცვლად — კონსტიტუციურად შეზღუდონ პრეზიდენტის უფლებები, რათა მას არ შეეძლოს ერთპიროვნულად დაითხოვოს მთავრობა და პარლამენტი — მოითხოვენ თავიანთი გუნდის ხელშეუხებლობას, დაწყებული სააკაშვილიდან და დამთავრებული მუნიციპალიტეტების რიგითი თანამშრომლებით. „ისინი საუბრობენ სრული ამნისტიის შესახებ ყველა იმ დანაშაულებასთან დაკავშირებით, რომლებიც, შესაძლოა, მათ ჩაიდინეს 2012 წლის 1 ნოემბრამდე იმ დანაშაულებათა გამოკლებით, რომლებიც დაკავშირებულია ძალადობასთან ადამიანობის წინააღმდეგ და რომლებიც ეწინააღმდეგება საკონსტიტუციო წყობას“, — დააზუსტა უსუფაშვილმა.

პარლამენტის სპიკერმა გაავრცელა ცალკეული განცხადება, რომელშიც დეტალურადაა განხილული საკითხები დღეებისა და საათების მიხედვით და რომლებსაც განიხილავდნენ მოლაპარაკების მონაწილენი შარშან 27 დეკემბრიდან მიმდინარე წლის 20 თებერვლამდე. „უსუფაშვილის დოკუმენტში“ ასევე ფრაგმენტალურად არის წარმოდგენილი თავად ეს მოლაპარაკება: ვინ, როდის, რა წინადადება დააყენა და ვინ, რა უპასუხა ამ წინადადებას. საჭიროა, ალბათ, გამოიჩინო უკიდურესი არაობიექტურობა, რომ არ დაინახო უფრო მოქნილი და კონსტრუქციული პოზიცია საპარლამენტო უმრავლესობისა მაშინ, როდესაც, თავად დოკუმენტის თანახმად, უმცირესობა პერიოდულად იხევდა უკან განცხადებული მოთხოვნისგან, აფართოებდა მას ან სულაც ცდილობდა, შეეცვალა იგი მთლიანად.

სწორედ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ასეთ მანერაზე მიაქცია ყურადღება „ქართული ოცნებიდან“ კონსულტაციის ერთ-ერთმა მონაწილემ, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის პირველმა მოადგილემ ზვიად კვაჭანტირაძემ. „დესტაბილიზაციის თავიდან ასაცილებლად ჩვენ პარლამენტის უმცირესობას შევთავაზეთ მხოლოდ ერთი საკონსტიტუციო ცვლილება, რომლის მიხედვითაც პრეზიდენტს არ შეეძლებოდა ერთპიროვნულად, პარლამენტის თანხმობის გარეშე, დაენიშნა მთავრობა. ამის სანაცვლოდ უმცირესობამ წამოაყენა მოთხოვნათა მთელი კასკადი: გაიზარდოს ქვორუმი სამ მეოთხედამდე, აისახოს კონსტიტუციაში პროდასავლური კურსი, გადაიდოს საკითხი პარლამენტის ქუთაისიდან კვლავ თბილისში დაბრუნების შესახებ. ჩვენ ამაზეც დავთანხმდით. მაგრამ მათ უმალვე წამოაყენეს ახალი მოთხოვნები, რომელთაგანაც ერთი შეეხება მთელი მათი გუნდის ხელშეუხებლობას... ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ საქმე გვაქვს არა პოლიტიკურ გაერთიანებასთან, არამედ იმ ადამიანებთან, რომლებიც თავმოყრილი არიან ერთი ადამიანის გარშემო, რომლისთვისაც არ არსებობს სახელმწიფო ინტერესები, არის მხოლოდ საკუთარი კაპრიზები“, — განაცხადა კვაჭანტირაძემ.

ოთხშაბათს გვიან საღამოს „ერთმა კაცმა“ — იგივე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა — გააკეთა რეაგირება მომხდარზე სატელევიზიო გამოსვლაში. მან კვლავ დაარწმუნა საზოგადოებრიობა, რომ ვერ იტანს ვერანაირ გეგმას მთავრობის დათხოვნისა და პოლიტიკური კრიზისის პროვოცირების შესახებ. „ჩემი, როგორც პრეზიდენტის ინტერესი, ეს არის სტაბილურობა ქვეყანაში. მე მინდა, რომ მთავრობა მუშაობდეს სირთულეების გარეშე და შეძლოს, განახორციელოს ის პროგრამა, რასაც ქართველ ხალხს დაპირდნენ საარჩევნო პერიოდში“, — განაცხადა სააკაშვილმა.

თავისი გამოსვლის მეორე ნაწილში პრეზიდენტი ცდილობდა, დაერწმუნებინა აუდიტორია იმაში, რომ „ქართული ოცნება“ ახდენს საზოგადოებრიობის დეზინფორმირებას, როდესაც საუბრობს მოლაპარაკების ჩაშლაზე. სააკაშვილის სიტყვებით, არც მას პირადად, არ მის თანამებრძოლებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ არანაირი ამნისტია არ სჭირდება. მინდა შევახსენო ყველას ერთი რამ: ვლადიმერ პუტინმა 2008 წელს მთელი მსოფლიოს თვალწინ მე საჯაროდ გამომიტანა სასიკვდილო განაჩენი (2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ფრანგულმა ჟურნალმა „ნუველ ობსერვატურმა“ გამოაქვეყნა სტატია, სადაც ამტკიცებდნენ, რომ რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა 12 აგვისტოს საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზისთან, რომელიც შუამავლად გამოდიოდა კონფლიქტის მოწესრიგებაში, დაიმუქრა, რომ ჩამოკიდებს სააკაშვილის სხეულის გარკვეული ნაწილით). მას ის არ გაუუქმებია. დიახ, მან საჯაროდ სიკვდილი მომისაჯა. ამის შემდეგ ვისაუბროთ იმის შესახებ, რომ მეშინია რაღაც ადგილობრივი წვრილმანი შანტაჟებისა, როდესაც არ შევუშინდი სასიკვდილო განაჩენს, გამოტანილს ჩვენთვის გაცილებით უფრო სერიოზული სუბიექტის მიერ, უხერხული და სასაცილოა...“, — განაცხადა სააკაშვილმა.

მისი სიტყვებით, თავად ტერმინიც „ამნისტია“ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და ყოფილი მთავრობის მრავალრიცხოვანი აპარატისთვის მიუღებელი და შეურაცხმყოფელია“. ამავე დროს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ის „არ საუბრობს ამნისტიაზე, მაგრამ მოითხოვს პოლიტიკური მოტივებით დევნის შეწყვეტას“. „დღეს ხელისუფლება ანადგურებს ოპოზიციას ზემოქმედებით, დაშინებითა და ა.შ. ჩვენ ვითხოვთ, დაანებონ თავი ხალხს და არც პრეზიდენტისთვის, არც ყოფილი მთავრობის წევრებისა და დეპუტატებისთვის უმრავლესობიდან არ მოვითხოვთ არანაირ ამნისტიას“, — თქვა მან. მისი სიტყვებით, დევნამ შეიძლება მიგვიყვანოს იმასთან, რომ „ზურგს შეგვაქცევს ევროპა და კვლავ აღმოვჩნდებით შუა გზაზე, რომ ვერ მოვასწარით მატარებელში ჩასხდომა და რომელიც დღეს ჩვენ მოლდოვასთან ერთად ბევრ სასიკეთო რამეს გვპირდებოდა. არ შეიძლება იმ შესაძლებლობის ხელიდან გაშვება, რომელსაც გვაახლოვებდა ჩემი მთავრობა“. ამავე დროს პრეზიდენტმა მოგვიწოდა, მიუხედავად ყველაფრისა, გავაგრძელოთ მოლაპარაკება. „ამ სასახლის (იგულისხმება პრეზიდენტის რეზიდენცია) კარები ღიაა შემდგომი მოლაპარაკებისთვის, ჩვენ არ გვაქვს უფლება თუნდაც ერთი წუთით დავიხიოთ უკან დიალოგის პროცესიდან“, — თქვა სააკაშვილმა.

„ქართული ოცნების“ რამდენიმე წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პრეზიდენტის სიტყვა „მზაკვრობითაა აღსავსე“: „მან კვლავ დაიწყო ცნებათა აღრევა და ფაქტების დამახინჯება: ამნისტია არ გვინდა, მაგრამ ნუ გაბედავთ ჩვენთვის ხელის ხლებას. მისი და მისი გარემოცვის შელახული სამართლიანობის აღდგენას კვლავ უწოდებს დევნას პოლიტიკური მიზეზებითა და ოპოზიციის განადგურებით“.

„კვაჭანტირაძის სიტყვებით, მოლაპარაკება ჩაიშალა შემდეგი მიზეზით: „ქართული ოცნება“ სთავაზობს „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ მოინანიოს, აღიაროს ყოფილი ხელისუფლების მიერ ჩადენილი დანაშაული ხალხის წინააღმდეგ და თავი დააღწიოს სისხლის სამართლის საფრთხეს, მაგრამ „მათ ესეც არ უნდათ“.

ამავე დროს პარლამენტის სპიკერმა დავით უსუფაშვილმა განუმარტა ჟურნალისტებს, რომ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ დიალოგის დროებითი შეწყვეტა იმას როდი ნიშნავს, რომ „ქართული ოცნება“ გამოვიდა მოლაპარაკებიდან. „თუ ოპოზიციას ექნება უნარი და შესაძლებლობა განიხილოს წინადადებები, ჩვენ მზად ვართ დიალოგის გაგრძელებისთვის“, — განაცხადა უსუფაშვილმა. ამასთან ერთად სპიკერმა დაადასტურა, რომ მუშაობას ახალ კანონზე ამნისტიის შესახებ უმრავლესობა გააგრძელებს და შეიტანს მას პარლამენტში განსახილველად ყოფილი ხელისუფლების — ამჟამინდელი ოპოზიციის — პოზიციის მიუხედავად.

НЕЗАВИСИМАЯ газета

## დედამიწის ზურგზე



### „ექვსეულის“ მოლაპარაკების წინ მაგატემ ირანს 167 კგ. ურანი აღმოუჩინა, რასაც ბომბისთვის ამზადებდა

**ანგარიშში, რომელიც მაგატემ მოამზადა მომავალი საერთაშორისო მოლაპარაკებისთვის და რომელიც თითქოსდა შემთხვევით აღმოჩნდა ჟურნალისტებისთვის ხელმისაწვდომი, ნათქვამია, კერძოდ, რომ ირანი დააჩქარებს მუშაობას ამ მიმართულებით. მაგალითად, ნატანზში ირანელი სპეციალისტები აყენებენ 180 ახალ ცენტრიფუგს.**

### პარიზელი მინისტრი თავს დაესხა ამერიკელ მაგნატს: საფრანგეთში ინვესტირება ეს „სისულელე“ არ არის

**სკანდალი გაჩაღდა სასალტე მრეწველობასთან დაკავშირებით: კომპანია „ტიტანმა“ დააყენა წინადადება ეყიდათ ქარხანა საფრანგეთში, მისმა ხელმძღვანელმა მორის ტეილორმა ამაზე უპასუხა, რომ შრომა ფრანგულად — ეს არის მუშაობა სამი საათით დღეში, იმდენივე ლაყბობისთვის, ერთი საათი კიდევ სადილისთვის. მინისტრი არ არის თანახმა, მაგრამ რატომღაც შეეცადა, თავისი სიმართლე დაედასტურებინა ნახევარი საუკუნის წინანდელი მაგალითებით.**




### რუსეთი კუბას სთხოვს სსრ კავშირის წინაშე არსებული ვალის ნაწილს და მიაწოდებს 650 მილიონი დოლარის ღირებულების თვითმფრინავებს

**ასეთია რუსეთის დელეგაციის, რომელსაც პრემიერ-მინისტრი დიმიტრი მედვედევი ხელმძღვანელობს, სამუშაო ვიზიტის ზოგიერთი შედეგი თავისუფლების კუნძულზე. ვალის საერთო მოცულობა 35 მილიარდი დოლარია. ამ თანხის ნაწილი რეფინანსებული იქნება. კუბის დავალიანების ჩამოწერაზე ფინალურ შეთანხმებას ექვსი თვის განმავლობაში მოამზადებენ.**

### აშშ-მა დაბლოკა გაეროს უშიშროების საბჭოში რუსეთის მიერ მომზადებული განცხადება დამასკოში ტერორისტული აქტის დაგმობასთან დაკავშირებით

**ადრე სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ვიქტორია ნულანდმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები გადაჭრით გმობს დამასკოში განხორციელებულ ტერორისტულ აქტს და განზრახული აქვს, განიხილოს ეს ტრაგიკული მოვლენები სირიის ოპოზიციასთან. დაზუსტებული მონაცემებით, აფეთქების შედეგად დაიღუპა 53 კაცი, 230-ზე მეტი დაიჭრა.**






PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**მდუღარე დრო**

**დეკემბრის ბოლოს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ აშშ-ში კიდევ ერთი ლობისტური კომპანია „ითაკა გრუპთან“ გააფორმა ხელშეკრულება (2012. 19.12), წერს ამერიკული გაზეთი „ჰიდი“. გაზეთის ინფორმაციით, ხელშეკრულებაში პირდაპირ არის მითითებული მიზანი: პრეზიდენტისა და „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესების წარმოჩენა აშშ-ს კონგრესისა და პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაციის წინაშე. იგივე წყარო აკონკრეტებს ფასსაც — 200 ათას დოლარი. იქვე იწერება იმის შესახებაც, რომ გასული წლის მსგავსი სახის კონტრაქტებზე საქართველოს ბიუჯეტიდან ამერიკული ლობისტური კომპანიებისათვის გადახდილი იქნა 840 ათასი დოლარი. გადამხდელი იყო პრეზიდენტის ადმინისტრაცია, რაზეც ხელს აწერს ამ სტრუქტურის უფროსი დავით ტყეშელაშვილი.**

შედეგმაც არ დააყოვნა. გავლენიან სენატორთა ჯგუფმა რესპუბლიკური პარტიიდან (ჯონ მაკკეინის თანამოაზრეები) მოუწოდა აშშ-ს სახელმწიფო მდივანს ჯონ კერის, რათა მან სრული დიპლომატიური რესურსი გამოიყენოს საქართველოში პოლიტიკური კურსის აღსაკვეთად. — იუწყებიან აშშ-ს მედიასაშუალებები. სენატორები სახელმწიფო მდივანს სწერენ: „ქართველი ხალხის უფლებების, თავისუფლებების დაცვისა და ჯერ კიდევ ახალგაზრდა დემოკრატიის შენარჩუნების ინტერესებიდან გამომდინარე, მოგმართავთ თხოვნით, აშშ-ს ინტერესების დასამტკიცებლად გადადგათ ნაბიჯი საქართველოს თავისუფლებისა და დემოკრატიის საკითხებში“ — ციტირებს გაზეთი „ჰიდი“ 4 რესპუბლიკელი სენატორის მიმართვას.

იმავე წერილში ხაზგასმულია, რომ კონტრაქტის თანახმად, „ითაკა გრუპს“, პრაქტიკულად, საქართველოს პრეზიდენტის ლობირება ევალება.

საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი დავით დარჩიაშვილი ლობისტების თაობაზე დასმულ კითხვას გაურბის და აცხადებს, რომ მას აინტერესებს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები და სრულიადაც არ აპირებს ყურადღების გამახვილებას ამაზე — არსებობენ თუ არა ისეთი ლობისტური კომპანიები, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ იმიჯის ამაღლებასა და პოპულარიზაციაზე მუშაობენ.

საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის წევრი, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე აცხადებს, რომ ლობისტების დაქირავება პრეზიდენტის მიერ მხოლოდ სააკაშვილისა და მისი გუნდის წარმოსაჩენად მუშაობენ, ხოლო მათი შედეგები საქართველოს საწინააღმდეგოა, მიუღებელია ქვეყნისათვის. მით უმეტეს თუ ამ საშუალების შესრულებისათვის ლობისტებს თანხები სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადაერიცხებათ.

მასზე უფრო კონკრეტული და მიზანმიმართულია ექსპერტი კორნელი კაკაჩია. იგი აქცენტს იმაზე აკეთებს, რომ ხელშეკრულებები ლობისტებთან ეროვნული უშიშროების ინტერესების სახელითაა დადებული და ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტიდან იფარება, მაგრამ სააკაშვილისა და მისი გუნდის იმიჯზე მუშაობენ. მაგრამ, განაგრძობს კაკაჩია, სენატორებზე პირდაპირ ლობისტობაში დადანაშაულება შეუძლებელია. ისინი დოკუმენტალურად დაამტკიცებენ, რომ ამას საქართველოს სახელითა და მისი ინტერესებიდან გამომდინარე აკეთებენ. ექსპერტი გაოცებულია ქვეყნის ხელისუფლების უმოქმედობით. საჭიროა კონტრლობისტების დაქირავება, ყოველდღიური მუშაობა უცხოელ პარტნიორებთან, — ამბობს იგი და აკრიტიკებს საგარეო საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძის უმოქმედობას. კონგრესმენებს ინფორმაცია არა აქვთ და თუ ჩამოვლენ, მივაწვდითო, განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა — ამბობს კაკაჩია და იქვე განმარტავს, რას ჰქვია „თუ ჩამოვლენ“, იქით უნდა ჩავიდნენ და სიტუაცია ამომწურავად გააცნონ. თუ ამ საქმეს დროზე არ მიეხედა, ყოველივე ისეთ სახეს მიიღებს, რომ მერე წლები დასჭირდება მდგომარეობის გამოსწორებას. პრობლემები შეიძლება შეგვექმნას, იმავე სავაჭრო-ეკონომიკური სანქციებით, რაც საქართველოზე სერიოზულ გავლენას იქონიებს, ასკვნის ექსპერტი.

### ექსპერტის სავალალო პროგნოზი მართლდება

**აშშ-ში მოღვაწე ჩვენი თანამემამულე ირაკლი კაკაბაძე სააკაშვილის მიერ დაქირავებული ლობისტების შოკისმომგვრელ გეგმებზე საუბრობს, ლობისტებისათვის მილიონობით დოლარია გადახდილი. რენდი შუნემანი კონგრესისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციას სისტემატურად ბომბავს ანტიქართული დეზინფორმაციებით. სააკაშვილის ლობისტებმა კონგრესში შექმნეს „საქართველოს მეგობართა ჯგუფი“ (15-ვე წევრი რესპუბლიკური პარტიიდან), რომელიც ამზადებს პროექტს კონგრესში წარსადგენად, რათა საქართველოს მიმართ გატარდეს სანქციები და შეიზღუდოს სავაჭრო ურთიერთობები.**

ამ ჯგუფის გარდა, სააკაშვილის სასარგებლოდ და საქართველოს საწინააღმდეგოდ ევროპაში მუშაობს „სახალხო პარტია“. აქ სერიოზული ძალები არიან, — აცხადებს კაკაბაძე, — ბელგიის პრემიერი, სანდრა რულოვსის სამშობლოდან, ჰოლანდიიდან პარლამენტართა დიდი ჯგუფი, რამდენიმე წევრი ბრიტანეთის პარლამენტიდან. მიმდინარეობს მუშაობა სხვადასხვა ქვეყნის პარლამენტარებთან.

## სააკაშვილის ყოველმხრივი შეტევა არა ივანიშვილსა და „ოცნებაზე“, არამედ სრულიად საქართველოზე



კაკაბაძის განმარტებით, სანქციების შემოღება საქართველოს პირდაპირ ტოვებს რუსეთთან, უფრო მეტიც, მის ხახაში აგდებს. თუ რუსეთი არა, სანქცირებულ საქართველოში შიმშილი დაიწყება.

აშშ-ს მთავრობა ამას ვერაფერს დაუპირისპირებს. კაპიტალიზმის პირობებში ქვეყნებს ლობისტები მართავდნენ. ივანიშვილი პიარსა და ლობისტურ თამაშებს აგებს. სააკაშვილი კი მის ხელთ არსებულ ყველა რესურსს ამ თამაშში აბანდებს, — ამბობს კაკაბაძე და აგრძელებს, — პირველი ოქტომბრის მერე გიგა ბოკერიას უწყება (უშიშროების საბჭო) წუთს არ კარგავს, რომ საქართველოს შესახებ დეზინფორმაცია არ გაავრცელოს:

ივანიშვილის მთავრობამ კონგრესმენებთან აუცილებლად უნდა დაამყაროს კავშირი და ეს უნდა მოხდეს რაც შეიძლება მალე, ეს არის იმპერატივი, — ასკვნის ირაკლი კაკაბაძე.

იგი 8 თებერვლის მოვლენებსაც ეხება და მიაჩნია, რომ ეს არის სააკაშვილი-უგულავას პროვოკაცია რუსული საქმის მიხედვით.

### საქართველოს სახელმწიფოებრიობას სააკაშვილი და მისი გუნდი არა მხოლოდ გარედან და ლობისტებით ემუქრებიან

**როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია „საქართველოს გზის“ თავმჯდომარე თეიმურაზ მურვანიძე აცხადებს, სააკაშვილმა და მისმა გუნდმა ახალი სტრატეგია შეიმუშავეს — შექმნან ქვეყანაში არასტაბილური ვითარება, რისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია 8 თებერვლის ინციდენტი.**

მურვანიძე აცხადებს, აქვს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ „ნაცმოძრაობა“ კონკრეტული გეგმის მიხედვით აპირებს შექმნას სამოქალაქო დაპირისპირების ილუზია. იგეგმება „კმარას“ ტიპის ორგანიზაციის შექმნა. უფრო აგრესიული და გამომწვევი აქციებით... ამბობს პოლიტიკური ორგანიზაციის ლიდერი, მისივე ინფორმაციით ნაციონალები შეეცდებიან, რომ ის დიდი უკმაყოფილება, რაც მათი წევრების მიმართაა დაგროვილი, კონკრეტულ დაპირებაში გადაიყვანონ ქართულ საზოგადოებასა და ერთ მუჭა პროვოკატორებს შორის, რომელნიც ამოფარებულნი იქნებიან არასამთავრობო თუ პოლიტიკურ ორგანიზაციათა სახელს, — აცხადებს „საქართველოს გზის“ თავმჯდომარე.

### პოლიტიკაში დაუსჯელობისა და უპასუხისმგებლობის სინდრომი ტრადიციული გახდა

**საქართველოს სახალხო პარტია გამოდის ინიციატივით, შეიქმნას 2003-12 წ. მიმდინარე მოვლენების შემსწავლელი კომისია (სასურველია, საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით), რომელიც პოლიტიკურ შეფასებას მისცემს აღნიშნულ პერიოდში განვითარებულ მოვლენებს და პოლიტიკური სუბიექტების ქმედებებს.**

პოლიტიკური ორგანიზაციის აზრით, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ასეთ ვითარებაში, პირველად არ აღმოჩენილა. ქვეყანაში რამდენჯერმე, ძალზე დრამატულ ვითარებაში შეიცვალა ხელისუფლება. ჩვენში ტრადიციად ქცეული დაპირისპირებებისა და პოლიტიკური კრიზისების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად სახალხო პარტიას მიაჩნია წარსული პოლიტიკური მოვლენების ჯეროვანი შეუფასებლობა და პასუხისმგებლობის არდაყენება.

პოლიტიკოსებში დაუსჯელობის სინდრომი იმ დონემდეა გამჯდარი, რომ როდესაც მათი პასუხისმგებლობაზე იწყება საუბარი, ისინი თავიანთ თავზე ლაპარაკობენ, როგორც პოლიტიკურ დევნილზე. პარტიას ყოვლად მიუღებლად მიაჩნია გარემო, როდესაც მოქალაქეთა ნაწილს საკუთარი კეთილდღეობის საშუალება ეძლევა ქვეყნისა და მოსახლეობის ხარჯზე.

მიმართვაში, რომელსაც პოლიტიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელები მამუკა გიორგაძე და პაატა კოღუაშვილი აწერენ ხელს, წერია, რომ ქვეყანაში უნდა შეიქმნას ისეთი პრეცედენტი, როდესაც ყველა ჩადენილზე პასუხი უნდა აგონ ჩამდენებმა, ძველი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, რათა ამჟამინდელი და მომავალი ხელისუფლების წარმომადგენლები მეტი პასუხისმგებლობით მიუდგნენ თავიანთი მოღვაწეობის პერიოდს, — ნათქვამია მიმართვაში.

### პოლიტიკური და ეკონომიკური სანქციები პირადი ინტერესებისათვის, ქვეყნისა და მოსახლეობის საწინააღმდეგოდ

**პოლიტოლოგ ხათუნა ლაგაზიძეს მიაჩნია, რომ პრეზიდენტი და „ნაციონალური მოძრაობა“ პირველი ოქტომბრის შემდეგ გათვლას მხოლოდ დასავლეთსა და საკუთარ ამომრჩეველზე აკეთებს. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, რომელიც მათ წინააღმდეგ წავიდა, დასახელებული ინტერესების სფეროში არ შედის. რაც მთავარია, ხაზს უსვამს პოლიტოლოგი, ყოფილი ხელისუფლება, იმის მაგივრად, რომ მონანიების რეჟიმში გადავიდეს, 9 წელიწადში ქვეყნისა და მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი საშინელებებისათვის, ხალხთან ურთიერთობას იგივე ცინიზმით აგრძელებს. მათ ხალხი ისევ ისეთივე ბრბო ჰგონიათ, როგორიც იყო 9 წლის მანძილზე. ჩემთვის გაუგებარია, რა თანაგრძნობას ელიან ისინი საზოგადოებისაგან, — ამბობს ექსპერტი.**

მათ ფაციფუცს ორი მიზანი აქვს, წარმოაჩინონ დასავლეთის თვალში პროცესები ისე, თითქოს ისინი დევნილები და შევიწროებულნი არიან, აგრეთვე, ცდილობენ, ჯერ კიდევ შემორჩენილი მათი მომხრეების თვალში გააკეთონ მაქსიმუმი, რათა უფრო ხანგრძლივი ვადით შეინარჩუნონ მათი მხარდაჭერა.

„არაფერი გამოუვათ!“ — ასკვნის ლაგაზიძე.

**ზაზა ბილიხოძე**

## „ვაზიაროთ ბავშვები ხელოვნებას“

კომპანია „Socar Georgia“ ახორციელებს პროგრამას „ვაზიაროთ ბავშვები ხელოვნებას“.

პროგრამის მიზანია: ნიჭიერი ბავშვების, ახალგაზრდების მხარდაჭერა და მათი შემდგომი ინტეგრაცია ხელოვნების სამყაროში.

აზერბაიჯანის კულტურის ცენტრში („ჩაის სახლი“) ქალაქ მარნეულში „ცენტრის“ მოსწავლეებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის ჩატარდება უფასო მასტერ-კლასები სხვადასხვა ქვეყნებიდან მოწვეული ცნობილი მხატვრების, მოქანდაკეების, ქორეოგრაფებისა და ქსოვის ოსტატების მონაწილეობით.

მასტერ-კლასებს გაუძღვება მოწვეული მასწავლებელი — ჩინგიზ ბაბაევი. ის ბაქოს ხელოვნების უნივერსიტეტის კურსდამთავრებული და პირველი მხატვარია, რომელმაც კონცეპტუალური ხელოვნების საერთაშორისო გამოფენებზე აზერბაიჯანი წარმოადგინა. ჩინგიზ ბაბაევმა სამი წელი იმუშავა „მადამ ტიუსოს მუზეუმში“ ლონდონში, ამასთან, იგი არის მაიკლ ჯექსონის, ჰიუ გრანტის, სტივ უანდერის, კურტ კობეინის, შირლი მაკლეინის, ჰენრი ფორდის და მრავალი სხვა ცნობილი პიროვნების ცვილის ფიგურების ავტორი.

ის არის, აგრეთვე, ქ. თბილისში „აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმში“ არსებული ცნობილი აზერბაიჯანელი დრამატურგის მირზა ფათალი ახუნდზადეს ცვილის ქანდაკების ავტორიც.

**მასტერ-კლასები გაიმართება 25, 26 და 27 თებერვალს 15-00-დან 18-00 საათამდე.**

**25 თებერვალი: „ნახატი“**
**26 თებერვალი: „ფერწერა“**
**27 თებერვალი „ქანდაკება“**





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ჭიდაობა

# ხალიჩაზე — ახალი თაობა

**დიღმის ძიუდოს აკადემიის დარბაზში დაიწყო თავისუფალი სტილით ახალგაზრდა მოჭიდავეთა საქართველოს ჩემპიონატი. ასპარეზობის პირველ დღეს ხალიჩაზე 50, 60, 74 და 96 კილოგრამი წონითი კატეგორიების ფალავნებმა მოსინჯეს ძალები. მედლებისთვის 124-მა სპორტსმენმა იბრძოლა. პაექრობებს თვალს ადევნებდნენ ახალგაზრდული ნაკრების ახალი მწვრთნელები — გიორგი გოგშელიძე, ოთარ თუშიშვილი და დავით ოთიაშვილი.**



სასიამოვნოა, რომ დიღმის საჭიდაომ ბევრი ახალი სახე წარმოაჩინა და სპეციალისტთა მოლოდინიც გამართლდა. ეფექტური ჭიდაობით კარგი შთაბეჭდილება დატოვეს გიორგი პასიკაშვილმა და ცნობილი მწვრთნელის - ზურაბ ტატუაშვილის ვაჟმა ნიკა ტატუაშვილმა (ორივე — 50 კგ), ირაკლი გოგობერიშვილმა, შოთა ფარტენაძემ და გიორგი შამათავამ (60), ტარზან მაისურაძემ და ლაშა გიგაშვილმა (74), ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის შვილმა ნოდარ კურტანიძემ (96) და სხვებმა.

საინტერესო აღმოჩნდა ფინალური ორთაბრძოლა პასიკაშვილსა და ტატუაშვილს შორის პირველი პერიოდი პასიკაშვილმა მოიგო, მეორე-მესამე პერიოდები ტატუაშვილის იყო და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეც ის ავიდა.

დაძაბული გამოდგა 74-ის ფინალიც მაისურაძესა და გიგაშვილს შორის. ფავორიტად მაისურაძე მიიჩნეოდა. ჭაბუკებში ევროპის შარშანდელი მესამე პრიზიორი ხომ უფრო გამოცდილია, თუმცა პროგნოზების საწინაალმდეგოდ გიგაშვილმა მეტოქე ყველა ასპექტში დაჩაგრა.

60 კილოგრამის ფინალში ფარტენაძე მთელი თავით აღემატებოდა მიხეილ მამუკაშვილს და მეორე პერიოდში ბეჭებზეც დააწვინა. 96 კილოში ქუთაისელმა როლანდ ანდრიაძემ გიორგი კაკაურიძე დაჯაბნა..

**კვარცხლბეკი**

**50 კგ.** 1. ნიკა ტატუაშვილი; 2. გიორგი პასიკაშვილი (ორივე — თბილისი); 3. კახა ირემაძე, გიორგი ფარტენაძე (ორივე — აჭარა).

**60 კგ.** 1. შოთა ფარტენაძე (აჭარა); 2. მიხეილ მამუკაშვილი (საგარეჯო); 3. რაუფ შაკულოღლი (ქარელი), გიორგი შამათავა (ფოთი).

**74 კგ.** 1. ლაშა გიგაშვილი; 2. ტარზან მაისურაძე (ორივე — თბილისი); 3. ირაკლი გოგობერიშვილი (ამბროლაური), გიორგი ქვათაძე (საჩხერე).

**96 კგ.** 1. როლანდ ანდრიაძე; 2. გიორგი კაკაურიძე (ორივე — ქუთაისი); 3. ნოდარ კურტანიძე, გიორგი ნაცვლიშვილი (ორივე — თბილისი).

**ლექსო ცინცაძე**

„გურიას“ ხვლიკის კუდი გამოავლეს

# ლანჩხუთელმა ჩინოვნიკებმა სტადიონის ფული შეჭამეს

**ლანჩხუთის მთავარ არენას — „გურიას“ ბოლო რეკონსტრუქცია 26 წლის წინათ ჩაუტარდა, როდესაც ადგილობრივმა საფეხბურთო გუნდმა სსრკ-ს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის საგზური მოიპოვა. რემონტი 25 მლნ საბჭოთა მანეთი დაჯდა და ზამთრის პირობებში 1 თვეში დამთავრდა.**

შარშან ზაფხულში წინასაარჩევნო ვოიაჟის დროს, როცა პრეზიდენტი სააკაშვილი უხვ დაპირებებს იძლეოდა, გურულებს რეგიონის აღორძინებას დაჰპირდა. „აღორძინების“ ნუსხაში სტადიონიც შედიოდა. უნდა ჩატარებულიყო კაპიტალური რემონტი, დადგმულიყო 22 ათას გულშემატკივარზე გათვლილი სკამები და ა. შ.



მიუხედავად სტადიონის პრიორიტეტულობისა, მისი პირველი ეტაპიც კი არ არის დამთავრებული. სამუშაოებს სამშენებლო კომპანია „ოქტან მედია“ აწარმოებდა. მასთან ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა ორჯერ (2012 წ: ივლისსა და აგვისტოში) გააფორმა ხელშეკრულება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შესყიდვების სამსახურის უფროსის მაია აფხაზავას განმარტებით, შარშან სარეკონსტრუქციო სამუშაოებისათვის ცენტრალური ბიუჯეტიდან ჩამორიცხული 800 ათასი ლარი მთლიანად ათვისებულია. აფხაზავა ასახელებს სამუშაოებს, რომლებიც მთლიანად შესრულებულია ან დაწყებულია მათი შესრულება. შესყიდვების სამსახურის უფროსის გადმოცემით, ოქტომბერში პროექტის შესრულებისათვის ბიუჯეტს ერთი თეთრიც აღარ გადმოურიცხავს. არადა სტადიონის სრული რეაბილიტაციისათვის 6 მლნ ლარია საჭირო. გეგმის მიხედვით სამუშაოები 2013 წლის ბოლოსათვის უნდა დამთავრებულიყო. ამჟამად „გურიაზე“ მუშაობა უსახსრობის გამო შეჩერებულია.

მაგრამ, როგორც ირკვევა, არც ისე იოლად ყოფილა საქმე, როგორც მუნიციპალიტეტის ჩინოსნები ცდილობენ, წარმოაჩინონ. ცოტა ხნის წინათ პროკურატურაში სარჩელი შეიტანა გურიის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ კახა ებრალიძემ. იგი ამბობს, რომ მუნიციპალიტეტმა და გამგეობამ თავიდანვე იგნორირება გაუკეთეს ფეხბურთის ადგილობრივ ორგანიზაციას და ხელშეკრულება სამშენებლო ფირმას ებრალიძისა და მისი კოლეგების გვერდის ავლით გაუფორმეს. ამის შედეგად, განმარტავს გურიის საფეხბურთო ორგანიზაციის თავკაცი, ბალანსის ფორმირების დროს გაირკვა, რომ „შპს ლანჩხუთის გურიას“ სერიოზული ღირებულების ქონება დააკლდა.

პროკურატურამ დროულად მოახდინა რეაგირება ებრალიძის განცხადებაზე, რის შედეგადაც დაკითხვაზე დაიბარეს ყოფილები: გამგებელი გიორგი გოგუაძე, მისი მოადგილეები კახა ასკურავა და ნუგზარ ღლონტი, საკრებულოს თავმჯდომარე რევაზ ჩიტიძე, მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი სოსო ჩხაიძე. ვინ რა სტატუსით დაიკითხა, უცნობია. ერთი კი ნათელია: ადგილობრივები ელოდნენ ევროსტანდარტების დონის სტადიონს, ხელში კი დაშლილი „გურია“ შერჩათ.

გურულები სიმწრით შეზავებული თხოვნით ხუმრობენ, რომ მათ ხელმძღვანელებს „გურიის“ სტადიონის რეკონსტრუქციისთვის გამოყოფილი თანხები უბრალოდ — „შემოეჭამათ“.

**ზაზა ბილიხოძე**

ადამიანი დროში

# ჭიორიდან — ხალიჩამდე

**უჰურებ ამ ღიმილიან სახეს და ძნელად თუ წარმოიდგენ, მის მიღმა რამდენი წვეთი დაღვრილი ოფლი იმალება.**

**ონის რაიონის სოფელ ჭიორაში 1953 წლის 22 თებერვალს დაბადებულმა ავთანდილ (ნოდარ) რეხვიაშვილმა ბავშვობიდანვე გაიგო შრომის ყადრი. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებული ჯერ დედაქალაქის ჩარხმშენებელ ქარხანაში მუშაობდა უბნის უფროსად, ხოლო შემდეგ — თავდაცვის სამინისტროს სისტემაში სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე.**



მაღალმთიან რაჭაში გაზრდილ ვაჟკაცს სამშობლოც გამორჩეულად უყვარს, რაც აფხაზეთის ომში მონაწილეობაში გამოიხატა. სამხედრო აღმშენებლობის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის ვადამდე მიენიჭა კაპიტნისა და მაიორის წოდებები.

ბუნებით რომანტიკოსს, გატაცებაც შესაბამისი აქვს — სახვითი ხელოვნება. ლოგიკურიცაა, რომ მოსე თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ თვითმოქმედთა მე-2 საკავშირო ფესტივალის ლაურეატის წოდება მიენიჭა ფერწერაში.

და ბოლოს — მისი „საჯილდაო ქვის“ — ჭიდაობის შესახებაც ვთქვათ ორიოდე სიტყვა. დიახაც, რომ ეამაყება, რომ როგორც მრავალი ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორი, სხვადასხვა დროს საქართველოს, უკრაინისა და საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებებში მიიწვიეს და ხალიჩაზეც რაინდობას ერთგულებდა.

კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი 60 წლის ასაკშიც მოვლენათა ეპიცენტრში ტრიალებს. მრავალჟამიერ!

**გია პლატონიშვილი**

ფეხბურთი

# ნახვამდის, „ატლეტიკო“

**გაიმართა ევროპის ლიგის გათამაშების საპასუხო მეთექვსმეტედფინალური შეხვედრები. გაირკვა, რომ საპატიო ჯილდოს ახალი მფლობელი ეყოლება, რადგან აწ უკვე ყოფილმა ლაურეატმა მადრიდის „ატლეტიკომ“ ორრაუნდიანი დუელი ყაზანის „რუბინთან“ დათმო.**



საერთოდ, შემდეგ ეტაპზე ყველა რუსულმა კლუბმა გააღწია მაშინ, როცა უკრაინელებმა სრული ფიასკო განიცადეს.

**სრული შედეგები:** „ჰანოვერი“ — „ანჟი“ 1:1 (1:3), „ლივერპული“ — „ზენიტი“ 3:1 (0:2), „ფენერბახჩე“ — „ბატე“ 1:0 (0:0), „ბორდო“ — კიევის „დინამო“ 1:0 (1:1), „ოლიმპიაკოსი“ — „ლევანტე“ 0:1 (0:3), „პლზენი“ — „ნაპოლი“ 2:0 (3:0), „ჩელსი“ — „სპარტა“ 1:1 (1:0), „სტიაუა“ — „აიაქსი“ 2:0 (0:2, პენალტებით — 4:2), „ბენფიკა“ — „ლევერკუზენი“ 2:1 (1:0), „რუბინი“ — „ატლეტიკო“ 0:1 (2:0), „ლაციო“ — „გლადბახი“ 2:0 (3:3), „კლუჟი“ — „ინტერი“ 0:3 (0:2), „მეტალისტი“ — „ნიუკასლი“ 0:1 (0:0), „ლიონი“ — „ტოტენჰემი“ 1:1 (1:2), „გენკი“ — „შტუტგარტი“ 0:2 (1:1), „დნიპრო“ ! l„ბაზელი“ 1:1 (0:2).

**გიორგი შოთაძე**






PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## ინფორმაცია

### შს სამინისტრო დევი სირაძის დაღუპვის საქმეზე ოფიციალურ ინფორმაციასავრცელებს

**როგორც** სამინისტროს ინფორმაციაშია აღნიშნული, თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების განყოფილების თანამშრომლებმა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ყოფილი მინისტრი ვლადიმერ ვარძელაშვილი დააკავეს. ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად ასევე დაკავებული არიან ზვიად ქავთარაძე და ვახტანგ ბიჭაშვილი.

— გამოძიებამ დაადგინა, რომ 2013 წლის 22 თებერვალს, ღამით დაკავებულები მეგობრებთან ერთად ნუცუბიძის ქუჩაზე ვლადიმერ ვარძელაშვილის საცხოვრებელ ბინაში სტუმრად იმყოფებოდნენ. ვლადიმერ ვარძელაშვილმა საკუთარი იარაღის კოლექციის დასათვალიერებლად მეგობრები გვერდით ოთახში გაიყვანა. მან ზვიად ქავთარაძეს საჩვენებლად „ტეტეს“ სისტემის პისტოლეტი მიაწოდა, რა დროსაც ამ უკანასკნელს იარაღი გაუფრთხილებლობით გაუვარდა და ტყვია მოპირდაპირედ მდგარ დევი სირაძეს გულმკერდის არეში მოხვდა. დაჭრილი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. ზვიად ქავთარაძე ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ იარაღი რეგისტრირებული იყო ვლადიმერ ვარძელაშვილის ნათესავის სახელზე, რომელმაც 2010 წელს აღნიშნული პისტოლეტი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ყოფილ მინისტრს საჩუქრად გადასცა, — ნათქვამია შს სამინისტროს განცხადებაში.

* * *

**სპორტისა** და ახალგაზრდობის საქმეთა ყოფილი მინისტრი ლადო ვარძელაშვილი დაკავებულია. ასევე დაკავებულია ზვიად ქავთარაძე, რომელმაც შემთხვევითი გასროლა განახორციელა და ამ გასროლას 45 წლის დევი სირაძე ემსხვერპლა.

დაკავებულია ლადო ვარძელაშვილის ქვისლი ვახტანგ ბიჭაშვილიც, რომლის სახელზეც იარაღი იყო გაფორმებული, თუმცა ეს იარაღი ვარძელაშვილის სეიფში ინახებოდა.

## სანთელი

### მანანა ანდრიაძის ნათელ ხსოვნას



დღეს თბილისის კონსერვატორიაში მძიმე განწყობა სუფევს. გარდაიცვალა შესანიშნავი მუსიკისმცოდნე და პედაგოგი, ნიჭიერი მკვლევარი, საეკლესიო მუსიკის კათედრის დამაარსებელი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი **მანანა ანდრიაძე**. წლების მანძილზე იგი იყო მუსმცოდნეობა-საკომპოზიტორო ფაკულტეტის დეკანი, კონსერვატორიის პრორექტორი, რექტორის მოადგილე, სამეცნიერო-კვლევითი სამსახურის უფროსი. ამ ტიტულებისა და თანამდებობების უბრალო ჩამონათვალის მიღმა ბევრი რამ ირეკლება, და უპირველეს ყოვლისა, დიდი ნიჭიერება და თავდადებული შრომა.

გასაკვირია, როგორ ახერხებდა ეს გარეგნულად მშვიდი, გაწონასწორებული, ლამაზი, ელეგანტური ქალბატონი უამრავი ვალდებულების ფონზე, მოვალეობებისადმი დიდი პასუხისმგებლობით სერიოზული მეცნიერული და პედაგოგიური საქმიანობის პირნათლად წარმართვას. ახალგაზრდა ასაკის მიუხედავად, მან მოასწრო შესანიშნავი პროფესიული კადრების აღზრდა და მნიშვნელოვანი კვლევითი მუშაობის ჩატარება.

მისი სამეცნიერო ინტერესები მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. განსაკუთრებული ღვაწლი მას მიუძღვის ქართული გალობის შესწავლაში. ამის დასტურია მისი გამოკვლევები ძველი ქართული სამუსიკო დამწერლობის, სამგალობლო ტრადიციების ჩამოყალიბების, ქართული გალობის ჟანრული კლასიფიკაციის შესახებ, და სხვ. საბედნიეროდ, ის რისი გაკეთებაც მანანა ანდრიაძემ მოასწრო, ღირსეულ გაგრძელებას ჰპოვებს მის აღზრდილთა საქმიანობაში.

მანანა ანდრიაძე ჭეშმარიტად ინტელიგენტურ ოჯახში გაიზარდა, სადაც ხელოვნებისა და მაღალი ზნეობის კულტი სუფევდა. ამიტომ ტიციან ტაბიძის ოჯახი, რომლის წევრიც იგი გახდა, მისთვის ბუნებრივი გარემო იყო. მაგრამ მოგეხსენებათ, ინტელიგენტობას ადამიანი არც მემკვიდრეობით და არც განათლებით იძენს. ეს არის სულის განსაკუთრებული წყობა, რომელსაც იგი თავად ქმნის და ამ გზით ამყარებს სიყვარულითა და პატივისცემით აღსავსე კავშირს სამყაროსთან. მანანა ანდრიაძე სწორედ ეს შემთხვევაა. ჩვენ ყველას გვათბობდა მისი კაცთმოყვარეობა, სათნოება, კეთილმოსურნეობა. მასთან ურთიერთობა დიდი ბედნიერება იყო.

თბილისის კონსერვატორიისათვის ყოველთვის ძვირფასი იქნება ამ არაჩვეულებრივი პიროვნების ხსოვნა და მისი სახელი სამუდამოდ ჩაიწერება ქართული მუსიკალური კულტურის ისტორიაში.

**თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია**

## ცხოვრების წესი

**რეგულარული ფიზიკური აქტივობა ჩვენს ორგანიზმს უფრო ჯანმრთელს ხდის, ამბობენ ექიმები. მეტიც: სპორტი გვაახალგაზრდავებს და სიცოცხლეს გვიხანგრძლივებს, ყოველივე ეს კი გენების სისტემაზე რთული ზემოქმედების შედეგად ხდება.**

გენები — ესაა ჩვენი ორგანიზმის მატრიცა. მათი სრული კომპლექტი — დაახლოებით 3500 ცალი — დნკ-ს შემადგენლობაში ყველა უჯრედში ინახება. მაგრამ კონკრეტულად რომელი გენები ირთვებიან ნივთიერებათა ცვლაში და რომლებს „სძინავთ“, მათ გარემოცვაზე — რეცეპტორებზე, ცილებზე, ფერმენტებზე, კატალიზატორებსა და ა.შ. არის დამოკიდებული.

**ცხოვრების ხანგრძლივობაზე დაახლოებით 750 გენია პასუხისმგებელი,** რომელთაგან დაახლოებით 250 განაპირობებს ორგანიზმის უჯრედთა უნარს საკვებიდან ან ენერგია მიიღოს, ან იგი ცხიმად შეინახოს. ექსპერიმენტებმა ცხადჰყვეს, რომ **საკვების ენერგიად (და არა ცხიმად!) გარდამქმნელ გენთა უფრო აქტიურ მუშაობას სიცოცხლის საკმაო ვადით გახანგრძლივება შეუძლია.** კერძოდ, თაგვებში ამ დრომ 900 დღე შეადგინა, ანუ მათი სიცოცხლე ორი მესამედით გახანგრძლივდა.

მეცნიერებმა ფიზიკურ აქტივობასა და გენებს შორის მკაფიო ურთიერთკავშირი დაადგინეს. **ცხოვრების მოძრავი წესი სწორედ იმ გენებს ააქტიურებს, რომლებიც კალორიების არა ცხიმად, არამედ ენერგიად გარდაქმნას უწყობენ ხელს.** ამასთან, რაიმე განსაკუთრებული ფიტნესი საამისოდ საჭირო არ არის — საკმარისია, მაგალითად, არცთუ მძიმე სამუშაოს ასრულებდეთ (მაგალითად, ბინას ალაგებდეთ, ძაღლს ასეირნებდეთ, ან ბავშვებს ეთამაშებოდეთ), ანდა, სულაც, საავგარაკო ნაკვეთზე მუშაობდეთ.

**თუკი დღის მანძილზე დიდ დროს მჯდომარე ატარებთ — არა აქვს მნიშვნელობა, სამუშაოს ასრულებთ თუ, უბრალოდ, ისვენებთ — ეს, შესაძლოა, სიმსუქნის, მე-2 ტიპის შაქრის დიაბეტისა და გულის სისხლძარღვთა დაავადებათა წარმოშობის მიზეზი გახდეს.** ეს არცთუ სასიხარულო ცნობა ამერიკელმა მკვლევარებმა გაავრცელეს. მათ აღნიშნულ დაავადებათა მიერ გამოწვეული სიკვდილების მიზეზთა მასობრივი ანალიზი ჩაატარეს. **აღმოჩნდა, რომ ყველა უდროოდ დაღუპული ადამიანი მჯდომარედ დღეში ადგილიდან აუდგომლად 4 საათზე მეტს ატარებდა.**

### სიარულით გაერიდეთ სიბერეს



**ტელევიზორის ზედიზედ ორ საათზე მეტი ყურება ჯანმრთელობისთვის მავნეა**

ბიოქიმიურმა გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ **როცა კაცი ზის, მასში გენების აქტივობა, რომლებიც ქსოვილთა ინსულინის მიმართ მგრძნობიარებაზეა პასუხისმგებელი, მნიშვნელოვნად იკლებს. ჯანმრთელობაზე ნეგატიური მოქმედება ჯდომის 2 საათის შემდეგ ხდებოდა ცხადი, კრიტიკულ ზღვარს კი უწყვეტად ჯდომის 4 საათის შემდეგ აღწევდა.**

ისმება კითხვა: რა უნდა ქნას კაცმა, რომელსაც ისეთი სამსახური აქვს, რომელიც ერთ ადგილზე ჯდომასთანაა დაკავშირებული? რა და როგორც მკვლევარები გვირჩევენ, **ყოველ 2-3 საათში ერთხელ 5-15 წუთით ადგილიდან უნდა ადგეთ, გაიარ-გამოიაროთ, გაიზმოროთ, ხელები გააქნიოთ,** მოკლედ, რომ იტყვიან, „სისხლი აამოძრაოთ“ ჩვეულებრივ, ასეთი მოქმედებების შემდეგ ადამიანი თავს უფრო მხნედ გრძნობს — სწორედ ესაა გენების აღდგენილი მუშაობის შედეგი. **ასეთ შესვენებათა წყალობით თქვენი ორგანიზმი პასპორტულ მონაცემებთან შედარებით ორი წლით უფრო ახალგაზრდა იქნება, ხოლო ამას სწორ კვებასაც და ფეხით რეგულარულ სიარულსაც თუ დაუმატებთ, კიდევ უფრო მეტად გაახალგაზრდავდებით.**

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, **ყოველ ადამიანს კვირაში ზომიერი აერობული დატვირთვა 150 წუთის განმალვობაში სჭირდება, რომელიც სასურველია, სუფთა ჰაერზე შეასრულოთ.** ამის შედეგად ახალგაზრდობას 3-5 წლით გაიხანგრძლივებთ. გასათვალისწინებელია ასევე ისიც, რომ **თუკი ზემოაღნიშნულ დატვირთვას ორგანიზმზე სამჯერ გაზრდით, ეს კიდევ უფრო მეტ სარგებლობას მოგიტანთ — ამ შემთხვევაში თქვენ აქტიური და ჯანსაღი ცხოვრების 10-15 წელი მოგემატებათ.** ფიზიკური დატვირთვის ყველაზე ხელმისაწვდომ სახეობად კვლავინდებურად ფეხით სიარული რჩება. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული მოცულობითაც კი **იგი შაქრიანი დიაბეტის საშიშროებასა და სიმსუქნეს 13 პროცენტით, ხოლო გულის სისხლძარღვთა დაავადების საფრთხეს 15 პროცენტით ამცირებს. ხოლო თუკი დღეში თითო საათს დადიხართ, მაშინ მისი სარგებლიანობა, შესაბამისად, 46 და 54 პროცენტით მატულობს.**

ამასთან, აუცილებლად გაითვალისწინეთ, რომ „ჩათვლაში“ მიდის სიარულის წმინდა დრო და არა ადგილზე დგომა, ანდა პარკში სკამზე ჯდომა და საუბარი. **როცა დაიღლებით, უმჯობესია კი არ ჩამოჯდეთ, არამედ შინ მიბრუნდეთ და წამოწვეთ. ჯდომისგან განსხვავებით წოლა გენების მუშაობისთვის იმდენად კრიტიკული არ არის. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, გენების მუშაობაზე ასევე ცუდ ზეგავლენას ახდენს ტელევიზორი: მისი ზედიზედ ორ საათზე მეტ ყურებას ცხოვრების 1,4 წელი „მიაქვს“.**

**ნინო ალექსანდრია**

---

მეუღლე გიული ნიკოლაიშვილი, შვილი ვასილ სუხიაშვილი, რძალი ლია სუხიაშვილი, შვილიშვილები სოფო, ნიკა სუხიაშვილები, და ნელი სუხიაშვილი, დისწულები მაია, ნატო ნებიერიძეები, ცოლისძმები პავლე, გიორგი ნიკოლაიშვილები, რძლები ცისანა შერმადინი, თამრიკო ძაგანია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**უშანგი (ბიჭიკო) სუხიაშვილი**

პანაშვიდი 22, 23 II, 16 სთ. გამოსვენება 24 II 15 სთ. მისამართი: ისაკაძის (ყოფილი ვაზისუბნის) ქუჩა 12, III სადარბაზო.

---

მეგობრები მიხეილ გოცირიძე, თამაზ შარაბიძე, ნოდარ მაკალათია, გურამ ჯახუტაშვილი, გია ფოფხაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**უშანგი (ბიჭიკო) სუხიაშვილი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

## ალიან-ჩალიანი

### საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ოქროს შემოტანას ცდილობდნენ

**საბაჟო** კონტროლის გვერდის ავლით ოქროს შემოტანის ფაქტები გამოვლინდა, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს„“ შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს. მათი ინფორმაციით, გუშინ სადახლოს საბაჟო გამშვებ პუნქტზე საქართველოს საბაჟო საზღვარზე დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის ოქროს ნაკეთობების საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით გადმოტანის 2 ფაქტი გამოვლინდა.

შემოსავლების სამსახურის ცნობით, ორივე შემთხვევაში არადეკლარირებული ოქრო სომხეთიდან შემოდიოდა. კერძოდ, რუსეთის მოქალაქის, ა.პ-ს მიერ შემოტანილი საქონლის ღირებულებამ, ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით 29691,9 ლარი, ხოლო სომხეთის მოქალაქის კ.დ-ს მიერ შემოტანილი ოქროს ღირებულებამ 21512 ლარი შეადგინა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შემდგომი რეაგირების მიზნით, საქმის მასალები საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.

### ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს



**კახეთის** საოლქო პროკურატურამ სიღნაღის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი ზურაბ კახეთელიძე ქრთამის აღების ფაქტზე დააკავა.

როგორც ბრალდების მხარემ განმარტა, კახეთელიძეს გამგეობის კუთვნილი მანქანა აუქციონზე უნდა გაეყიდა და ავტოაუქციონში გამარჯვების სანაცვლოდ მოქალაქისგან ქრთამის სახით 100 დოლარი აიღო. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## დღესასწაული

# ივერიის ღვთისმშობლის ხატი

**25 თებერვალს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის დღესასწაულს.**

**...ცნობილია, რომ იმპერატორმა თეოფილემ ბიზანტიაში გასცა ბრძანება გადამალული ხატები გაენადგურებინათ.**

ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატს მალულად ინახავდა ერთი კეთილმორწმუნე ქვრივი.

იმპერატორის გამოგზავნილმა მხედრებმა იპოვეს ეს ხატი, ერთ-ერთმა მათგანმა „მახვილი დასცა პირსა ხატისა" და მოხდა სასწაული — ნაიარევიდან სისხლმა იწყო დენა. ქვრივი მთელი ღამე ლოცულობდა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის წინაშე, დილით კი ღვთის განგებით მან ხატი ზღვასთან მიაბრძანა, წყალში ჩაშვებულმა წმინდა ხატმა გეზი დასავლეთისკენ აიღო.

...ათონის ივერთა მონასტრის ბერებმა ზღვაზე ნათლის სვეტი იხილეს. ეს ხილვა რამდენიმე დღეს გაგრძელდა. წმინდა მამები შეიკრიბნენ, ზღვის ნაპირზე ჩავიდნენ და ნახეს, რომ ნათლის სვეტი ადგა ღვთისმშობლის ხატს, მაგრამ, როცა მიახლოება გადაწყვიტეს, ხატი ზღვის ნაპირს გაშორდა.

ივერთა მონასტერში მოღვაწე ქართველ ბერ გაბრიელს გამოეცხადა ღვთისმშობელი და აუწყა, რომ მხოლოდ გაბრიელ ივერიელი იყო ღირსი ხატის ზღვიდან ამოყვანისა...

ზღვიდან გამოსვენებული ხატი ეკლესიაში შეაბრძანეს და საკურთხეველში დააბრძანეს. მეორე დღეს კანდელის ასანთებად მისულ ბერს ხატი ადგილზე არ დახვდა, ძებნის შემდეგ იგი აღმოჩნდა მონასტრის კარიბჭის კედელზე, ჩამოაბრძანეს და ისევ საკურთხეველში შეასვენეს.

გამოცხადებაში აი, რა უთხრა ქალწულმა, მარიამმა გაბრიელ ბერს, მე მნებავს თქვენ კი არ მიცავდეთ მე, არამედ მე გფარავდეთ თქვენო.

პორტაიტისას, ანუ სასწაულთ-



მოქმედი ხატის მადლით მრავალი სასწაული აღესრულება.

**გიული ლიპარტია**

## ჩვენი კარაბადინი

### მკურნალობის გადადება არ შეიძლება

**მაქვს საშვილოსნოს ყელის ეროზია. როგორ ვუმკურნალო: ელექტროდენით თუ სხვა რამით კიდევ? და არის კი შესაძლებლობა, რომ ეროზია მოიშორონ თავიდან იმ ქალებმა, ვისაც ბავშვი არ გაუჩენია, თუ დაველოდოთ სანამ ბავშვს არ გააჩენს?**

**ი.თ. ოზურგეთი**

**გვიპასუხებს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თამარ სიხარულიძე:**

— ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული წლის წინათ არსებობდა ეროზიასთან ბრძოლის ერთადერთი მეთოდი — დიათერმოკოაგულაცია (ელექტროდენით მოწვა). მას ბევრი ნაკლი ჰქონდა (ნაჭდევების წარმოქმნა, საშვილოსნოს ყელის ელასტიკურობის დაკარგვა), ამიტომ ცდილობდნენ არ გამოეყენებინათ იგი იმათ, ვისაც შვილი არ გაუჩენია. მაგრამ შეიძლება აირჩიო მკურნალობის სხვა საშუალება, რომელიც მიესადაგება იმ პაციენტებს, ვისაც ჰყავს შვილი ან ჯერ ისევ უშვილოა. არჩევანი დამოკიდებულია დაავადების მიზეზზე. მაგალითად, კრიოდესტრუქციის დროს ეროზიის მონაკვეთს ჰყინავენ თხევადი აზოტით. გაყინვა მოქმედებს, როგორც ანესთეზია, ამიტომ გაუმტკივნებლობა სავალდებულო არ არის. პროცედურის დროს ჯანსაღი ქსოვილები პრაქტიკულად არ ზიანდება, მაგრამ არც ნაჭდევის წარმოქმნა უნდა გამოვრიცხოთ. ლაზერული დესტრუქციის დროს თავდაპირველად იყენებენ მაღალი ინტენსიურობის აპარატებს (სკალპელის სახით), შემდეგ კი დაბალი ინტენსიურობის დანადგარებს უკეთესი შეხორცებისთვის.



ყველაზე ფრთხილ ზემოქმედებას ახდენს ელექტრობადი სხივი. ერთდროულად ის იძლევა მასალის აღების შესაძლებლობას ჰისტოლოგიური ანალიზისთვის. თუმცა, მეთოდის საბოლოო არჩევანი ექიმს ეკუთვნის.

### რა დაგვეხმარება კენჭების მოძებნაში?

**ამ ცოტა ხნის წინათ გამიჩნდა ტკივილები ზურგში და ჩხვლეტები მუცლის ქვემოთ. ექიმმა შარდისა და სისხლის ანალიზზე გამგზავნა, აგრეთვე თირკმელების ულტრაბგერით გამოკვლევაზე. ანალიზებს არა უშავდა რა, მაგრამ ულტრაბგერით გამოკვლევაზე მითხრეს, რომ ყველაფერი ნორმალურიაო. ექიმი კი დაბეჯითებით მოითხოვს, რომ გავიკეთო უროგრაფია, მაგრამ ეს რა საჭიროა, თუ ულტრაბგერითი გამოკვლევა კარგია?**

**თამაზ უთურგაიძე, ახმეტა**

**გვიპასუხებს ექიმი-უროლოგი ვლადიმერ ბრძელიშვილი:**

— ეტყობა, ექიმს ეჭვი აქვს, რომ თქვენ შარდკენჭოვანი დაავადება გაქვთ. ულტრაბგერითი გამოკვლევა — ეს შარდსადენი სისტემის ორგანოებში ქვების გამოვლინების ერთ-ერთი ძირითადი მეთოდია, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი გამოკვლევის დროს არ შეიძლება დავინახოთ კენჭები შარდსადენში. ამიტომ დიაგნოზის დასაზუსტებლად ზოგჯერ საჭიროა თირკმელების უროგრაფია ან კომპიუტერული ტომოგრაფია. უროგრაფია (აგრეთვე კომპიუტერული ტომოგრაფია) გვიჩვენებს თირკმელების ანატომიურ აგებულებას და ფუნქციურ შესაძლებლობას, დაგვეხმარება შევაფასოთ კენჭების (თუ ისინი აღმოჩნდება) მოცულობა, სტრუქტურა და განთავსების ადგილი.

ასევე თირკმელების გამოყოფითი ფუნქციების მდგომარეობა შეიძლება გვიჩვენოს რადიოიზოტოპურმა გამოკვლევამ. პაციენტის ვენაში შეჰყავთ რადიოიზოტოპური ნივთიერება, შემდეგ კი სპეციალური აპარატის კონტროლქვეშ თვალყურს ადევნებენ, თუ როგორ გამოჰყავს ისინი თირკმელებს.

## ანეკდოტები

**ტელეფონი რეკავს. ყურმილს ბიჭუნა იღებს:**

**— გისმენთ. მამაჩემი გინდათ? ვინ კითხულობს? მისი შეფი? რომელი შეფი: დაჩაჩანაკებული სახედარი თუ ნაღდი დებილი?**

* * *

**ორი დაქალი ყავას სვამს და საუბრობს.**

**— შესანიშნავი ყავა გაქვს, ძვირფასო!**

**— არც არის გასაკვირი! ჩემმა ქმარმა იგი ბრაზილიიდან ჩამოიტანა!**

**— გადასარევია! თანაც ასეთი ცხელი.**



* * *

**თუ ადამიანი სულელია, ეს დიდხანს გასტანს. თუ ადამიანი დიდხანს არის სულელი, ეს ჩვენი ბრალია: არ იყო საჭირო მისი ხელმეორედ არჩევა.**

* * *

**— ბატონო მოსამართლევ! — ამბობს ადვოკატი სასამართლოში. — საიდან უნდა სცოდნოდა ამ საცოდავ ქალს, რომ მისი ქმარი ასეთი მგრძნობიარე იქნებოდა საწამლავისადმი?**

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### ვკითხულობთ გაზეთებიდან



### ზურაბ ადეიშვილმა მარიკა ვერულაშვილის ქმარი უკრაინაში ბიზნესის გამო დაიჭირა?

ეს ინფორმაცია „ვერსიამ" კარგად ინფორმირებულ წყაროსთან გადაამოწმა, რომელმაც მარიკა ვერულაშვილის ქმრის დაპატიმრების ფაქტი დაადასტურა, მაგრამ განგვიმარტა, რომ სისხლის სამართლის საქმე არა ვანო მერაბიშვილმა, არამედ იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა ზურაბ ადეიშვილმა აღძრა.

„ვერსიის" წყაროს ინფორმაციით, მარიკა ვერულაშვილის მეუღლეს შემოვლით რკინიგზასთან არანაირი ბიზნეს-ინტერესი არ გააჩნდა. მეტიც, სოსო ჩხაიძე საერთოდ არ ყოფილა ამ პროექტში ჩართული. ზურაბ ადეიშვილმა დეპუტატის მეუღლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე სულ სხვა ფაქტის გამო აღძრა, რაც სოსო ჩხაიძის უკრაინაში ბიზნესს უკავშირდებოდა და არა შემოვლით რკინიგზას. ეს იყო რეალური მიზეზი, რის გამოც მარიკა ვერულაშვილმა საპარლამენტო უმცირესობა დატოვა და არა გადაბირება ან თუნდაც რაიმე ტიპის ზეწოლა.

**„ვერსია"**

### ახალაია, შესაძლოა, ციხიდან გაუშვან

**თავდაცვისა** და შსს-ს ყოფილი მინისტრი ბაჩო ახალაია, შესაძლოა, თვის ბოლოს ციხიდან გამოუშვან. ამის ალბათობა მისი ადვოკატისა და უფლებადამცველების ნაწილის თქმით, ძალიან მაღალია, თუმცა, პროკურატურაში ამბობენ, რომ ძიების პროცესი ისევ მიმდინარეობს და, ახალაიას, შესაძლოა, სხვა ბრალდებებიც დაუმტკიცდეს. ბაჩო ახალაიას ადვოკატი ამბობს, რომ ახალაიას გირაოთი განთავისუფლება სავსებით რეალურია.

**„რეზონანსი"**

### „ნიკორას" სოსისი კოლიბაქტერიებით დაბინძურებული გამოდგა

**ორგანიზაცია** „საქართველოს სტრატეგიული კვლევის და განვითარების ცენტრის" ინფორმაციით, სარეალიზაციო ქსელში გატანილი „ნიკორას" რძიანი სოსისი კოლიბაქტერიებით დაბინძურებული გამოდგა. ორგანიზაციას, პროდუქციის ხარისხის შემოწმების თხოვნით, მომხმარებელმა მიმართა. დაბინძურებული სოსისი მოსკოვის პროსპექტზე მდებარე „ნიკორას" საფირმო მაღაზიაში იქნა აღმოჩენილი.

ორგანიზაციამ, აღნიშნულ საფირმო მაღაზიაში სოსისი შეიძინა და ლაბორატორიაში შესამოწმებლად გადაგზავნა, ხოლო ლაბორატორიიდან მიღებული პასუხის მიხედვით, სოსისი კოლიბაქტერიებით დაბინძურებული გამოდგა. ფაქტთან დაკავშირებით გარდა მეწარმისა, სურსათის ეროვნულ სამინისტროსაც ეცნობა.

**„ახალი თაობა"**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში"
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com